XXIII № 6 XXIII

ივნისი, 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## ჟურნალ „ჯეჯილისა“


I სურათი: იაკობ გოგებაშვილისა . . . . . 222
II სიკვდილი ფრთოსანისა ლექსი შ. მდივანმელიქისა . . . 223
III მსუნაგი კატა . . . . . 225
IV ბაყაყები (ბიკოვიდან) . . . . . 226
V გულთმისანი კორეული ზღაპარი არჩილისა . . . 228
VI ვალის გადახდა ფრანგულიდან არჩილისა . . . . 333
VII მგლის აღზრდილნიძველი თქმულება ვ. სასთავშვილისა 339
VIII ნეკროლოგი იაკობ გოგებაშვილისა . . . . . 344
IX წვრილმანი: გამოცანები, რებუსი და სხვა . . . 347

---

X საამო დილა ლექსი ლადო გეგეჭკორისა . . . . . 348
XI ბიძიას ნაამბობი —ალ. ნათაძესი . . . . . 350
XII დავით კოპერფილდი ჩარლს დიკენსის მოთხრობა. (გაგრძელება) თარგმანი ელ. კარბელაშვილისა . . . 357
XIII მოკლე ცნობები თვალთ უჩინარ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებიდან (შემდეგი იქნება) ი. თ-ნესი . 365
XIV პატარა ხლოია (შემდეგი იქნება) თარგ. ს. ავალიშვილისა 372
XV მტკვარი, ჭოროხი და რიონი, მგზავრის დღიურიდან (შემდეგი) ილ. ალხაზიშვილისა . . . . . 377
XVI შარადა და სხვა და სხვა ამბავი . . . . . 386


---

ჯეჯილის 1912 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ
დასურათებული ზღაპარი

# ლომ-კაცი

გიორგი წერეთლისა.

---

რედაქცია უმორჩილესათა სთხოვს ხელის მომწერლებს, რომ ვისაც არა აქვთ სრულად შემოტანილი ხვედრი ფული დააჩქარონ, თორემ ჟურნალის გზავნა შეფერხდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




საყმაწვილო ნახატებიანი

# ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

ივნისი, 1912

✦ წელიწადი მეოცდასამე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1912

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკობ. სვიმონისძე გოგებაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სიკვდილი ფრთოსანისა.

იცოცხლე მისთვის მინდოდა,
დედას გვერდს ამოვდგომოდი;
ეშეშრომნა მასთან ერთადა,
ქვეყანას გამოვდგომოდი,
მესწავლა რასაც მეტყოდა
მშობელი ტკბილის ენითა,
არა თუ გული გამერთო
ფუჭის ჭიკჭიკით, ფრენითა.
მაგრამ ქორმა და ალალმა
არც ერთი აღარ მაცალეს,
სწავლა შრომიდან დამცალეს,
სიცოცხლე გამომაცალეს...
ტყვილათ ნუ მტირით, სწორებო,
ვიცი ეგ გლოვნა წრფელია;
ფრთა გულში დაჭრილს სიკვდილი
მომელის უეჭველია.
მხოლოდ ესღაა თქვენდამი
ნატვრა მრავალჯერ მრავლისა,
ისწავლეთ, სანამ დრო შეგწევთ
და სალისი გაქვთ სწავლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არ ანათებს ვარსკვლავი
და ბჟუტავს მხოლოდ ცაზედა,
გემსა ჭვავს დაუტვირთავსა
ცუდად მავალსა გზაზედა.

ნუღარც შენ მტირი, მშობელო,
შენს გრძნობას ვენაცვალები,
ცოცხლებისათვის დაზოგე
შენი გული და თვალები.

აცდინევი მტრის ალერსს
ცოცხლივ არ ნახონ გალია.
ეს სთქვა საბრალო ჩიტუნამ
და სული მწარედ დალია.

შ. მღვიმელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მსუნაგი კატა.

ერთი ინგლისელი ქალი მოგვითხრობს თავის კატაზე შემდეგ ამბავს: მე მეკუთვნდა ერთი შესანიშნავი კატა, რომელსაც „მსუნაგი“ დავარქვი, რადგან ძალიან უყვარდა ხოლმე ნაღბის ატლაკვა, ქათმის ხორცის მოპარვა და აცლა რაც-კი მოხვდებოდა. ხშირათ ამ მსუნაგი კატის მოსაზრება და ჭკუა დიდათ გასაკვირვებელი იყო.

ერთხელ ამ კატამ სამზარეულოდან ჩუმათ მოიტაცა ხორცის ნაჭერი. მზარეულმა თვალი შეასწრო და საცემრათ გამოუდგა. „მსუნაგი“ პირდაპირ საკუჭნაოსაკენ გაექანა, სადაც ბევრი თაგვები ეგულებოდა და იმის მაგივრათ, რომ ხორცი თვითონ შეეჭამა თაგვის ხორცთან დადო და თითონ ცოტა მოშორებით დასკუპდა და დაუწყო ყურება.

ძალე დიდი ვირთაგვა გამოჩნდა, „მსუნაგმა“ ყურები აცქვიტა. ვირთაგვამ დაავლო მაშინვე ხორცს პირი და ის იყო სოროში ჩაძრომას აპირებდა, რომ ამ დროს ჩვენმა კატამ ერთი ისკუპა და თავის მსხვერპლს დაასცხრა. თვითონ ხორცს პირი არ დააკარა. მოკლული ვირთაგვა მზარეულს წაუღო საჩვენებლათ, რომ ხორცი თავისთვის კი არ მოუპარავს, მხოლოთ უნდოდა მზარეულისთვის ვირთაგვა მოეშორებინა.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაუაუები

ედა, დედა, ჩქარა, ჩქარა წამო, ჩვენ ჰატარა ტბასთან. უყვირიდენ ბავშვები დედას,— რო იცოდე რა ვნახეთ, ჩქარა წამო.

ბავშვების ძახილზე დედა კარში გამოვიდა და მათ ბაღში გაჰყვა. ჰატარა ტბის ნაპირზე აუარებელი თავ-კომბალები ირეოდენ და ეს უცნაური ცხოველები ბავშვებმა დედას გაკვირვებით უჩვენეს.

— დედა, ეური დაუგდე ერთი სანდროს რა სისულელეს ამბობს: ეს ცხოველები ჰატარა ბაუაუები არიანო, მაგრამ ჩვენ რასაკვირველია არ დაუჯერეთ. განა შესაძლებელია, რომ ეს ჰაწაწა შავი კუდებით ცხოველები ბაუაუები იყვენ? არა, სანდრო, შენ ან თვალს არ გიჭრის და ან არა და ჩვენ დაგვცინი.

— სანდრო მართალს ამბობს; თქვა დედამ,—და თუ გინდათ მაგის სიმართლეში დარწმუნდეთ მოიტანეთ შუშის ქილა, შიგ თავ-კომბალები ჩავსსათ და მერე ნახავთ როგორ გაიზრდებიან და ბაუაუებათ გადიქცევიან.

ბავშვებიც სწორეი ასე მოიქცენ: ქილაში წყალი ჩაასხეს, შიგ რამდენიმე თავ-კომბალა ჩასვეს და ჩეროში აივანზე დადგეს. ბავშვები ყოველ-დღე წყალს უცვლიდენ და თან თავ-კომბალებს ათვალიერებდენ.

ხუთიოდე დღის შემდეგ ბავშვებმა შენიშნეს, რომ ცხოველებს ჯერ უკანა ფეხები გამოებათ, მერე წინა ფეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც ესენი ბაკაკები არ არიან, ამბობდა კოტე—ამათ ისევ კუდები აბიათ, ბაკაკებს კი კუდები არა აქვთ.

მაგრამ მალე თავ-კომბალებს ეს კუდებიც სულ გაუქრათ და ფერიც იცვალეს.

— მართლა ნაძღვილათ ბაკაკები ეოფილან, გადაწყვიტეს ბავშვებმა,—ტყუილაკ არ უკვირებდით სანდროს.

როცა ბაკაკები მოიხარდენ, ქილა აღარ იტევდა, არც ესიამოვნებოდათ მათ შიგ ეოფნა და ბავშვებმა ტბაზე წაიყვანეს, მაგრამ ბაკაკებს არც იქ მუდამ წყალში ეოფნა მოსწონდათ: ისინი ამოსტებოდენ ხოლმე ტბის ნაპირზე და ბალახზე წამოსკუპდებოდენ.

(ბიკოვიდან)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულთმისანი

(კორეული ზღაპარი)

იყო ორი ამხანაგი: ტორი და ტუტები*).

ტუტები წარჩინებული მშობლების შვილი იყო, ტორი კი უბრალო კაცისა.

ტუტები ნიჭიერი იყო, ტორი—ტეტია და სულელი.

ტუტები ხშირად აჯავრებდა ტორის, თუმცა უყვარდა.

როცა სწავლა გაათავეს, ტუტებიმ უთხრა ტორის:

—შენ თუმცა კაი გვარის შვილი არა ხარ, მაგრამ არა უშავს რა, მე დაგეხმარები, მოგიწყობ ხეირიან ცხოვრებას.

აი რა მოახერხა ტუტებიმ:

როცა იმისი მამა სტუმრათ წავიდა—აიღო და მამის საყვარელი ხმალი დამალა.

მამა დაბრუნდა და რა გაიგო ხმლის დაკარგვა, კინაღამ შვილი არ მოკლა.

შვილმა უპასუხა:

— ნუ სწუხარ, მამავ, მე ერთი ამხანაგი მეყავს, ის გულთმისანია და გიპოვის.

მერე წავიდა ტორისთან და ყველაფერი შეატყობინა. რასაკვირველია, არც ის დაავიწყდაა—დგილი ეჩვენებინა, საცა ხმალი ჰქონდა დამალული.

---

*) კორეულათ ტორი ნიშნავს ქვას, ტუტები—გომფაშოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუტების მამამ დაიბარა ტორი და ჰკითხა:

— შეგიძლიან გაიგო, ჩემი ხმალი სად არის?

ტორიმ უპასუხა:

— შემიძლიან და უპოვა კიდეც ხმალი.

ტუტების მამამ ფული აჩუქა და შეძწეობასაც დაჰპირდა.

ამ დროს ჩინეთის იმპერატორს სახელმწიფო ბეჭედი დაეკარგა და კორეის იმპერატორს წერილითა სთხოვა, თუ გულთმისანი ვინმე გეყავს, ჩქარა გამოიგზავნეო.

ტუტების მამამ იმპერატორს ტორის ამბავი მოახსენა.

— მოდი ერთი გამოვცდი, იფიქრა იმპერატორმა.

როდესაც ტორი მოიყვანეს, იმპერატორმა დაკეტილს ყუთზედ მიუთითა და უბრძანა:

— აბა გამოიცან, რა არის ამ ყუთში?

— ოჰ, ტუტები! საყვედურით ამოიოხრა ტორიმ.

— დიახ, ტუტებია, ბრძანა იმპერატორმა და ყუთში დაკეტილი გომფაშო უჩვენა.

— ეს სწორეთ გამოდგება, გაიფიქრა იმპერატორმა და ტორის ჩინეთის იმპერატორთან წასვლა უბრძანა.

— ასლა კი მთლად დავიღუპე: — ჰფიქრობდა ტორი — ჩინეთის ხელმწიფე თავს გამაგდებინებს. ეჰ, ტუტები, კაი მეგობრობა ვერ გამიწიე.

ქალაქ ჰეკინს რომ უახლოვდებოდა, ერთ ხეს ქვეშ ჩამოჯდა დასასვენებლათ.

ხეზედ ჩიტი იჯდა და გაიძახოდა: «ჩი-ჩუ, ჩი-ჩუ».

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ტორი იმპერატორთან მიიყვანეს, დარწმუნებული იყო, რომ მოჰკლავდენ; მაშინვე ჰკითხეს: სასელმწიფო ბეჭედი სად არისო. ტორიმ ეს-ღა მოასერსა და დაბნეულათ წამოიძახა:

— ჩი ჩუ, ჩი-ჩუ.

უცებ ერთი კარის კაცი მუსლებზედ დაეცა და აღიარა ბეჭედი მე მოვიპარეო. საქმე იმაში იყო, რომ ამ კარის კაცს ჩი-ჩუ ერქვა.

— შენ მართლა გულთმისანი ჭეოფ ლხარ, — უთხრა იმპერატორმა, — შენ ჩემთან უნდა დარჩე.

ტორის სრულებით არ გაჭსარებია ეს ამბავი, რადგან ერთხელ მაინც მისი ტეუილი გამოჩნდებოდა. ამიტომ ითხოვა შინ გამიშვითო და მიზეზათ ცოლშვილი და ნათესავები დაასახელა.

— ეგ ჩემი საქმე არ არის — ბრძანა იმპერატორმა

— ჩემი ხომ არის — გაჯავრდა ტორი — დამნაშავე სულ ეს ჩემი ცხვირია, რომელიც გაიგებს სოლმე, სად რა არის დამალული. არ ძინდა მე ეს ცხვირი!

და ტორიმ ერთი დანის დასმით ცხვირი მოიჭრა.

— ახლა კი მეც ისეთივე სულელი ვარ, როგორც თქვენ.

იმპერატორი განრისხდა და მისი დასჯა მოინდომა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და შინ წასვლის ნება მისცა.

ტორის ყველა დასცინოდა ხოლმე, მაგრამ ის-კი ამ აზრისა იყო, რომ ჩინეთის იმპერატორს რომ მარტო ცხვირის დაკარგვით გადარჩა დიდი სასჯელი არ იყო:

(თარგმანი) არჩილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გლეხი გოგია.

ამწვანებულა სიმინდი,
ლამაზათ ღელავს, ბიბინებს,
ხან საამურათ შრიალებს,
ხან კი სდუმს, თითქო იძინებს.
თავს დაქათქათებს მაღლით მზე,
გულ-უხვათ აფრქვევს სხივებსა
და აციმციმებს მის მკერდზე
ნამს, ვით ალმასის მძივებსა.
შიგა სდგას გლეხი გოგია,
თოხის და თოხნის ჩქარათა
და, გულ-მოღეღილს, სახეზე
ოფლი ჩამოსდის ღვარათა.
მას უკან მისდევს ბაწია
ბესიკო, ხიკავს ჩალასა,
თან ეკითხება: „მამილო!
თავს რისთვის ატან ძალასა;
დღე და ღამ შრომას ის არ სჯობს
მიეცე მოსვენებასო?!“
— ეს, შვილო! ბედშავ გლეხკაცსა
ვი, აძლევს ამის ნებასო!
უველა თავისას ფხრულობს:
ხელმწიფე, მღვდელი, ბერიო,
შინაური და გარეშე,
მოუვარეა თუ მტერიო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თან მაგრათ სცემს მიწას თოხს,
ალარ ისვენებს წამითა,
თითქოს სურს ჯავრი იყაროს,
ალვსილმა ნაკელ-შხამითა.

ვ. ოუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალის გადახდა.

## რენე ბიერის მოთხრობა.

ერგია ერთი, ქაკ, გეიოოვა ოცნება, აჩქარდი, თორეკ საქმე ბევრი გვაქვს, უთხრა ოსტატმა.

— უკაცრავად, ბატონო ანსელმ, თავს ველარ ვიკავებ: რაც იმ დღეს თეატრში ვიყავი, მას აქეთ ვერც გაგონილი სიტყვები და ვერც მუსიკა თავიდან ველარ მოვიშორე.

— ვიცი ჰოეზია და მუსიკა რომ გიყვარს, მაგრამ ეგ მდიდრების საქმეა, ჩემო ბიჭო! დედაშენი ღარიბი დედაკაცია და შენი თავი იმიტომ ჩამაბარა, რომ ისეთი რამ ხელობა გასწავლო, რაც შემდეგში შენც შეგინახავს და შენს ოჯახსაც.

— ვეცდები გავსწორდე, მიუგო ქაკმ.

ემაწვილმა ცოცხს ხელი წამოავლო და თავისი ოსტატის დუქანი სუფთად დაგავა

ოსტატი ანსელმი დალაქი იყო და ეჯანში, გრავიეს გზაზედ, ჰქონდა სადალაქო და ბევრი მუშტარიცა ჰყავდა.

ანსელმი ზორბა კაცი იყო, თავაზიანი და კეთილი. როდესაც თავის ემაწვილ შეგირდს ოცნებაში გართულს ნახავდა გაჯავრების მაგიერ, ტკბილათ შეჰნიშნავდა ხოლმე. ეს კი ხშირადა ხდებოდა, რადგან ქაკს, თუმცა გულწრფელათ სურდა გასწორება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭვირდებოდა კიდეც, მაგრამ ძიუსედავათ ამისა, ძალიან ხშირად ოცნებები გაიტაცებდენ ხოლმე მას.

მაინც ჟაკ ბოე ცუდი ბიჭიკო არ იყო. 13 წლის დინჯს და ჩაფიქრებულ ბავშვს უყვარდა კვირაობით მარტოკა სეირნობა. მარტოობა და სიჩუმე ერჩივნა მხიარულს თამაშობას თავის ტოლებში. კითხვა ძალიან უყვარდა, და ამითი ცოდნას იძენდა. საშწუხაროთ ბევრ საკითხავ წიგნებს ვერ შოულობდა, არც ფული ჰქონდა, რომ მითი მაინც შეეძინა წიგნები.

ერთს კვირა დღეს აჟანში ბაზრობა გაიმართა, გრავიეს მოედანზედ, ძდინარის პირას.

ჟაკი დასეირნობდა, გასართობებს ათვალიერებდა. უცებ მისი ყურადღება გამოფენაში წიგნებმა მიიზიდა. სურვილს ვერ დასძლია და ახლო ნახვა მოისურვა.

წიგნებით მოვაჭრე ცალ-ფეხა მოხუცი ჯარის კაცი იყო.

— შენ ჩემს წიგნებსა სინჯავ, ჰატარა ბიჭო? წიგნები ლამაზიც არის, საყურადღებოც და ამასთანავე იაფიც,—დაუმატა მოხუცმა და თან ეშმაკურათ გადაჰხედა ჟაკს, რომელსაც თვალი ვერ მოეშორებინა.

რა სიამოვნებით წაიკითხავდა ამ ერთს წიგნს! მხოლოდ ერთს, რომელიც კი უნდა ეოფილიყო. მაგრამ, ეჰ! თუმცა იაფია, მაინც მის ჯიბისთვის საგრძნობელია. ის ხომ ისეთი ღარიბი იყო, იმდენი ჰატარა ძმები ჰყავდა, რომ ამ წიგნის ფასის გაღებით ბევრს ბედნიერებას მოაკლებდა თავის ძმებს.

უცებ გარონის ნაპირებიდან ძლიერმა ქარმა დაჰ-

ბერა და მოხუცის საძწუსაროთ, მისი წიგნების მსუბუქი ფურცლები ჰაერში აათამაშა: ფურცლები ჩიტებივით დაფრინავდენ აქა-იქ, მოხუცი ამაოდ დარბოდა: მისი ხანი და ხის ფეხი ნებას არ აძლევდენ მოეგროვებინა დაფანტული წიგნები. კიდევ კარგი, ქაკ ბოემ უშველა; ხან იქეთ გაიქცა, ხან იქით და ერთ წამში დაფანტული წიგნები ეველა ჰატრონს მიურბენინა. ეველა, გარდა ერთისა, მხოლოთ ერთისა, რომელიც ხალათს ქვეშ დამალა. ქურდი კი არ იყო ქაკი, მაგრამ ისე მოუნდა წიგნის წაკითხვა, რომ წიგნის დამალვა ქურდობათაც კი არ ჩათვალა. ქარს გულში მადლობა უძღვნა დახმარებისათვის და გადასწყვიტა: წავიკითხავ თუ არა, მოხუც ჯარის კაცს უკან მიურბენინებო. ამ შემთხვევით მთლად გაბედნიერებული, მოშორდა იმ არემარეს და წიგნი საჩქაროთ გაარბეინა.

წიგნი ისეთი საეურადღებო რამ იყო, რომ თვალი ვეღარ მოაშორა და ბოლომდის გადაიკითხა: მგონი არაბული ზღაპარი იყო. ბიჭი მთლად კითხვამ გაიტაცა, მისთვის ქვეყანაზედ აღარაფერი არსებობდა: არც დღესასწაული, არც წიგნებით მოვაჭრე, არც დალამება...

როცა წიგნი გაათავა და შინ დაბრუნდა წასვლა, ღამე მოახლოებულიყო კიდეც, მოხუცი ჯარის კაცი იქ აღარ იყო: თავისი დუქან-ბაზარი აელაგებინა, ზურგზედ წამოეკიდა და წასულიყო. მოედანზედ თითქმის აღარავინ მოსჩანდა.

ქაკი საშინლათ დაღონდა. სადღა იპოვოს მოხუც მეწიგნე? უეჭველია მას წიგნის დაკარგვა დააღონებდა,

ჟაკმა რომ მოჭვარა. მაგრამ როგორ უშველოს? და-
ღამდა კიდეც და შინ უნდა დაბრუნდეს.

—

რამდენიმე წელმა გაიარა. ჟაკიპატარა შეგირდი
აღარ იყო, რომელიც სადალაქოში მუშტრის ჰარსვის
დროს ოცნებობდა და ღიღინებდა. მან თავისი საკუ-
თარი სადალაქო გააღო, კარგათაც მოაწყო. მალე ცნო-
ბილი ლექსების დამწერი შეიქმნა: ყველა მარტო იმის
შეთხზულს სიმღერა „მე კალ მური"-ზედ ლაპარაკობ-
და და მართლაც ის სიმღერა ყველას მოსწონდა.

თვითონ ჟაკ ბოეც დადიოდა ქალაქიდან ქალაქს
და დიდებულ კაცების დარბაზებში მღეროდა თავისავე
შეთხზულს სიმღერას.

ერთხელ, კარგა შორს აჟანიდან, ერთ დიდს დაბა-
ში უსაქმოდ დასეირნობდა; ეკლესიის მოედანზედ შე-
ნიშნა მოხუცი, რომლის გვერდით ჰატარა ურემი
ვირით შებმული იდგა. ჟაკმა ეს მოხუცი მაშინვე იც-
ნო. ეს ის ცალფეესა ჯარის კაცი იყო, რომელსაც
აჟანში ბაზრობის დროს წიგნი მოჭვარა, მხოლოდ
ესლა წინანდელივით წიგნებს როდი და ჭეიდა. ერ-
თი სუფთა მაგიდა დაედგა და ზედ რიგზედ რაღაცა
ფურცლები ჩაემწრივებინა.

ჟაკს დიდი სანია აწუხებდა მოხუცის ვალი და
რაკი დაინახა ის, მაშინვე მისკენ გაეშურა და მაგიდა-
ზედ ვერცხლის ფული დაუდო.

მოხუცმა ამაუთ მიუგო:

— უკაცრავათ, ბატონო, მე მოწყალებას როდი

ვითხოვ, მე ვვაჭრობ. აი თუ ეს სიძღერა მოგეწონებათ, იყიდეთ...

— როგორ? განა ახლა დაბეჭდილ სიმღერებსა ჭყიდით? ჭკითხა გაკვირვებით ქაკმა.

— დიახ, მე ერთი სიმღერა ვიცი, რომელმაც ასე გამამდიდრა სთქვა და თან ამაყად თავის ვირსა და ჭატარა ურემს გადაჭხედა.

მართლაც და სიმდიდრეთ ურდა ჩაეთვალა ეს ქონება იმას, ვინც წინეთ თავის საკაჭროს ზურგით დაათრევდა.

— ოჭ, რომ იცოდეთ რამდენ ფულს ვშოულობ ამ სიმღერის გაყიდვით. როცა იმას ვიმღერებ ხოლმე. ყველა ჩემსკენ მოეშურება და ყიდულობს.

— რა სიმღერაა ნეტავი აგეთი ლაშაზი და კარგი?

— აბა ყური დამიგდეთ!

ბაშინ ქაკ ბოეს ნამდვილი სიხარული იგრძნო: თავისი შეთხზული სიმღერა გაიგონა.

სწორედ ამ სიმღერას მოეტანა ბედნიერება მოხუცისთვის და შეემსუბუქებინა მისი გაჭირვება სიბერის დროს.

ასე მოხდა რომ ქაკმა თავისი ნიჭით ერთი ათასათ გადაიხადა ის ფული, რომელიც ოდესღაც უნებურად მი ჭვარა.

ქაკ ბოე, უფრო ჯასმენის სახელით ცნობილი, სახელოვანი მოლექსე შეიქმნა.

ის მიღებულ იყო თვით მეფის სასახლეში. ემაწ-

ვილძა კაცმა დიდი სახელი და დიდება მოიხვეჭა თავ-ვისი ნიჭით, მაგრამ არც ერთ ქებას ისე არ გაუხარებია ის, როგორც იმ სიამოვნებას, რომ თავისი ნიჭის ჰირ-ველი ნაყოფით ასეთი სარგებლობა მოუტანია მოხუცს ჯარის კაცს.

ალ. ავ—ლი.

(ფრანგულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგლის აღზრდილნი.

(ძველი თქმულება).

I

ველ დროში ცხოვრობდა ერთი გულკეთილი მეფე ნუმიტორი. მას ერთათ-ერთი ქალი ჰყვანდა, რომელსაც სახელათ ირქვა რეგეა. მეფე ფიქრობდა თავისი სიკვდილის შემდეგ მეფობა რეგესთვის გადაეცა.

ეს ამბავი გაიგო მეფის ძმამ ამუილმა; შეჰკრიფა ჯარი და გაძოუცხადა ომი თავის ძმას, დიდი ბრძოლის შემდეგ ნუმიტორი დამარცხდა და ტახტი ამუილმა ჩაიგდო ხელში. მეფეს ქალი რეგეა, უბრძანა ჯალათებს ცოცხალი ჩაეფლათ მიწაში, და მისი ორი ჰატარა ვაჟი შვილები ჩაესვათ ჩალის კალათაში და გაეტანებინათ მდინარე წელისათვის...

ასეც მოიქცენ.

გასანთლეს ჩალის კალათი, ჩასვეს შიგ ორი ჰატარა ბავშვი, რომეილი და რემა და მისცეს წეალს.

აი გაცურდა კალათი, თითქოს ჰატარა ხომალდიაო, წელის გასწვრივ. დიდი უბედურება მოელოდა ბავშვებს,—სიძშილით დაიხოცებოდენ,—მაგრამ ნაპირიდან მწყემსმა შეამჩნია, სტაცა ხელი კალათას და გამოიტანა ნაპირზედ...

II.

შეებრალა მწყემს ბავშვები და წაიყვანა სახლში, უნდოდა თავისთვის აღეზარდა, მარა ცოლმა უარი უთხრა:

— სულელო!.. განა შენ არ იცი, რომ მაგ ბავ-
შვების წყალში გადაურა თვით მეფე ამუილმა ბრძანა,
უნდოდა მათი დაღუპვა... გაიგებს მეფე, რომ ჩვენ
შევიკედლეთ და სასტიკათ დაგვსჯის... სჯობს ორთა-
ვენი დახოცო!..

— არა, დედაკაცო, —უთხრა მწყემსმა,— ამათი
დახოცვა მე არ შემიძლიან... ხომ არც თვითონ მე-
ფემ დაახოცვინა, მან მხოლოთ ღვთის განგებულო-
ბაზედ მიანდო. სჯობს ასე მოვიქცეს: წავიყვანთ ტყეში
და იქ მივატოვებ... შეიძლება ვინმე მგზავრმა ნახოს,
შეიბრალოს და წაასხას!.. ჩასვა მწყემსმა ისევ კა-
ლათაში ბავშვები და დიდ დაბურულ ტყის შუა გულ-
ში წაიყვანა.

III.

იმ ხანობაში ამ ტყეში დაწანწალებდა ერთი ბე-
ბერი ძგელი, რომელსაც სულ ცოტა ხანში მოუკვ-
დენ ორი ჰატარა ბელი... ეს მგელი უცაბედათ შეე-
ფეთა ობლათ დატოვებულ ტყეში ბავშვებს. ისინი
იწვენ კალათაში და ტიროდენ სიმშილით... მგელმა
კარგათ აათვალიერ-ჩაათვალიერა ისინი და შეეცოდა
უბედურები. მას მოაგონდა თავისი ორი დაღუპული
შვილი. დაუწყო ლოკვა და მისცა ძუძუ,— დამშვიდენ
ბავშვები, დაძღენ და ჩაიძინეს ტკბილათ...

IV.

მგელმა იშვილა ეს ორი ჰატარა ნაპოვნი ბავშ-
ვი. იქვე ასლოს გამოთხარა დიდი სორო, შეზიდა
სმელი ბალახი და ხის ფოთლები, გაუმართა რბილი
საწოლები და ფრთხილათ შეათრია სოროში კალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი... დღეის შემდეგ ის მუყაითად უვლიდა ბავშვებს, უალერსებდა, აჭმევდა მუმუს, გვერდიდან არ შორდებოდა.

მგელმა მოიქმედა ის, რაზედაც! სალსმა უარი თქვა...

V.

დრო და ჟამი გადიოდა. ბავშვები სწრაფათ იზრდებოდენ და ლონიერდებოდენ. ბებერი მგელი ძალიან ალერსით უვლიდა მათ, აჭმევდა და იფარავდა ყოველგვარ განსაცდელისაგან...

ბავშვები მესამე წელზედ ისე გაიზარდენ და გალონიერდენ, რომ თვითონვე შოულობდენ თავიანთვის საზრდოს და ბებერ მგელსაც ასაზრდოვებდენ. როდესაც სრულიად დაძლურდა მგელი და სიკვდილიც მოუახლოვდა,—საბრალო ობლები თავს ეკლებოდენ და მწარეთ-მწარეთ ტიროდენ... ესლა იმათ არა უშავდათ რა, ისინი მარტონიც არ დაიბნეოდენ ტყეში, რადგან ჰატარაობიდანვე შეჩვეულნი იყვენ თავიანთ თავზე ზრუნვას...

ბევრმა წლებმა განვლო, რომელი და რემი ცხოვრობდენ ტკბილათ. ბოლოს მათ შემთხვევით გაიგეს, თუ ვინ იყვენ ისინი, რა სიბოროტე ჩაედინა მათ ბიძას ამუილს დედისთვის და ჰაჰა—მეფე ნუმიტორისთვის.

ძმებმა მოჰკლეს ამუილი, იპოვეს თავიანთი ჰაჰა, ნუმიტორი და დაუბრუნეს მას მეფობა. თვითონ კი რადგან თავისუფალ ცხოვრებას იყვენ დაჩვეულნი გაშორდენ ჰაჰას, წავიდენ იქ, სადაც როდესღაც ისინი მწყემსმა იპოვა და ამოიყვანა წულიდან,—მდინარე ტიბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამიგონე,— უთხრა ერთხელ რომულმა თავის ძმას, რემსა,—მოდი ავაშენოთ აქ ქოხი... მერე ჩვენთან სხვებიც მოვლენ, და აქ ჩვენ გვექნება ჩვენი ქალაქი!..

— კარგი,—უპასუხა რემამ.— რა თქმა უნდა ჩვენ აქ კარგათ მოვეწყობით და თავისუფლათაც ვიცხოვრებთ!..

VI.

დაიწყეს უმაწვილებმა თავიანთვის ქოხის აშენება. გაიგეს ეს მწყემსებმა, რომელნიც იქვე მეზობლათ ცხვარს აძოვებდენ, მოვიდენ მათთან.

— შეიძლება ჩვენც თქვენს ახლოს დავსახლდეთ? —ჰკითხეს.

ძმებს გაეხარდათ, სიამოვნებით მიიღეს ეველანი სამეზობლოთ, ოღონდ აეშენებინათ ქოხი.

ასე ნელა-ნელა შენდებოდა ქოხები რომულის და რემის სახლების გარშემო და მალე ეს ადგილი დიდ ქალაქად იქცა.

მხოლოდ ერთხელ დიდი საზიზღარი უბედურება დატრიალდა...

როდესაც საკმაოდ ბევრი სახლები გაშენდა მდინარე ტიბრის ნაპირას,—ძმებს ერთმანეთში ლაპარაკი მოუვიდათ, რომელი სახელი დაერქმიათ მათ ახალ ქალაქისთვის.

არც ერთი, არც ძეორე ერთმანეთს არ უთმობდენ,—ამაზე ძმებს დიდი ჩხუბი მოუვიდათ რომულმა ველარ მოითმინა, მივარდა რემს და იქვე მოჰკლა... ეს უბედურება დატრიალდა ღამით. რომულმა დამალა მოკლული ძმა, და დილით დაიბარა თავისი ამხანაგები და უთხრა მათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ძმა გაიქცა აქედან და მე მარტო დამ-ტოვა... გინდათ, რომ მე ვიყო თქვენი მეფე, მფარ-ველი და მართველი?.. გინდათ, რომ ჩვენს ქალაქს ერქვას ჩემი სახელი?..

არავინ წინააღმდეგი არ გაუხდა და ყველა სია-მოვნებით დასთანხმდა.

— იყოს ნება შენი?.. უთხრეს მათ.—რადგან შენმა ძმამ მიგვატოვა — შენ მაინც გვიპატრონე!..

ასე გახდა რომული მეფეთ ახალი ქალაქისა და სახელმწიფოსი. იმ ქალაქს მას აქეთია დაერქვა სა-ხელი „რომა". ჩვენებურათ კი —რიმი...

**ვანო საათაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Mიბათვის პირველს 1912 წელს, საღამოს 6 საათზედ გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილი.**

ამ სიტყვებმა შეარყია და შესძრა მთელი საქართველო და იმ ქართველთა გულიც გაჭეშმარა, რომელნიც გაფანტულნი არიან სხვა და სხვა შორეულ ქვეყნებში.

ყოველი კუთხიდან მოვიდა თბილისში სამგლოვიარო სმა და წრფელი მწუხარება იმ კაცის დაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვის გაძო, რომელმაც ორმოცდა ათი წელიწადი თავისი სიცოცხლისა მოახმარა თავისი ქვეყნის სამსახურს და სიკვდილის შემდეგაც კი ისე მოაწყო საქმე, რომ ეს სამსახური შეუჩერებელი იქნება და უკვდავს ჰყოფს იაკობის სახელს ქართველთა ხსოვნაში და ქართველთა გულის სიღრმეში.

ვინ იყო იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი? და რად არის იმისი სახელი ასე ძვირფასი ყველა ქართველისათვის? ეს, უეჭველია, ყველა თქვენგანს, ჩემო ძვირფასო მკითხველნო, ძალიან კარგად ეცოდინება. უამისოთ სომ თქვენ ქართველნი არ იქნებოდით და ქართული კითხვაც არ გეცოდინებოდათ!

„დედა-ენა“ ეოჯელი ქართველისათვის ისეთივე აუცილებელი სულიერი საზრდოა, როგორც სიცოცხლისთვის ჰური და წყალი, მაშასადამე განუერელი და დაუვიწყარი ყველასათვის და ეოველთვის. „დედა-ენა“ კი იაკობმა მორთო, მოჰკაზმა, გაამშვენიერა და შილიონობით გაჰფანტა მთელ საქართველოში, ყველა ოჯახში შეიტანა, ყველასათვის ცნობილი და საყვარელი გახადა.

„დედა-ენა“ ვის თქვენგანს არ სჭერია ხელში, ვის თქვენგანს არ ჰყვარებია და ზეპირად არ სცოდნია ეს პირველი საკითხი წიგნი, საკუთ მშობლიურის ქვეყნის ალერსით, დიდებით და გაუზომავის პატივისცემით? ყველას, ყველას! ეს აუცილებელია და კიდევაც დიდხანს, დიდხანს დედმ-ენა იაკობ გოგებაშვილისა განუერელი იქნება ქართველ შთამომავლობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოლოდ საჭიროა დედა-ენასთან ერთად, თქვენ წარმოდგენაში განუერელათ გამოიხატებოდეს სოლმე იმ კაცის სსოვნაც და პატივისცემაც ვინც ეს საუნჯე შეჭქმნა, შეაუვარა მთელ ქართველობას და იმისთვის აუცილებელ საჭიროებათ გარდაჭქმნა.

„დედა-ენის“ ოთველ სტრიქონებ და სტრიქონებ შუა იაკობის ტკბილი და მაღალი სულის კვეთებაა ჩასახული და თქვენც ნუ გაჭერით თქვენ პატარა გულებში, ამ ორ მშვენიერ არსებათა ერთ არსებას!

თიბათვის 17. ეკ. გაბაშვილისა.

22 წლის იაკობი.

## გამოცანები

უფხო, უძვლო ველის ნადირი.

—

პატარა ვიყავ ოთხი სოფელი მოვჭამე,
გავიზარდე მიწა ვლოკე,
მოვკვდი და მთელი ქვეყანა შემოვიარე.

—

## რებუსი.

(წარმოდგენილი გ. ლეონიძესაგან)

ზმა: თარი.

შარადა: მელანი.

გამოცანები: წისქვილი, თოფი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საამო დილა

ვაისის დილა
ნამმა დათრთვილა;
ტოროლამ ცაში
იწყო თამაში;
და შაშვმაც სთქვა მყის:—
ვიშ, ვიშ, ვიშ, კის, კის.

—

ნაზი ზამბახის სიტურფემ,
დილის მზის სხივის ციალმა;
ჩუხჩუხა, ანცი ნაკადის
ხტომამ, ბუტბუტმა, ჩხრიალმა;
ბულბულის სტვენა-გალობამ,
მერცხლის ჭიკჭიკმა, ფრთხიალმა
და ნელი სიოს სისინთან
ვერხვის ფოთლების შრიალმა!—
მაისის დილა შეამკეს,
მოქარგეს სინარნარითა;
ჰიმნი შეუთხზეს განთიადს
ხმითა საამო-წყნარითა!

—

ლხენით სავსე, შვებით სრული
რბის ჩუხჩუხებს ნაკადული:
სიხარული, სიხარული!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისის დილა
ნამმა დათრთვილა;
ტოროლამ ცაში
იწყო თამაში;
და შაშვმაც სთქვა მყის:—
ვიშ, ვიშ, ვიშ, კის, კის!

ლ. დ. გ. ეგეფჭორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიძიას ნაამბობი.

(ბავშვების ცხოვრებიდან)

ოლომონის შემდეგ ჩვენმა მასწავლებელმა გამოიღო თავის უბის წიგნი და თავისი ნაზი და მოხდენილი ხმით წაგვიკითხა შემდეგი ამბავი:

**კეთილი ანგელოზი.**

(ინგლისური ზღაპარი).

სოფლის განშორებით, ერთს მიუვალ, გამარტოვებულ ადგილს იდგა ერთი სახლი; ამ სახლში ცხოვრობდა ღარიბი, მეტის მეტათ ღარიბი დედაკაცი—რამდენიმე პაწაწინა ბავშვებით. ყველაზე უფროსს რობინი ერქვა. იგი იქნებოდა ასე 12 წლისა, მაგრამ მუშაობდაკიდეც ერთ ფერმაში. და მუშაობდა როგორ? დილიდან კარგა ვახშმობამდის მაღლა თავს არ იღებდა და თავის ოფლის ფულით კვებავდა ოჯახს. ერთ საღამოს, ზამთრის პირზე, რობინი დაბრუნდა შინ მუშაობიდან ერთი მიყრუებული გზით. მისი სახლი ფერმიდან ძალიან შორს იყო და ეს გარემოება დედას მეტათ აშინებდა და საგონებელში აგდებდა. იგი სულ იმას ფიქრობდა: რა ეშველებათ ჩემ საცოდავ ბავშვებს, რომ ერთ-ერთი მათგანი ავათ გახდეს—ხომ არც ერთი ექიმი არ დათანხმდება ჩვენსა მოსვლას და ავადმყოფობის დახედვასო. ამ სიშორეზე ცხოვრება-კი აუცილებელი იყო, რადგანაც სახლი იაფათ ეჭირათ და ზაფხულშიაც ამ ადგილს არა ადგილი არ შეედრებოდა ბუნების სიმშვენიერით.

იმ წელიწადს ძალიან სუსხიან ზამთარს მოელოდენ; ყველა ძველი, გამოცდილი კაცები წინასწარმეტყველებდენ ამას და მათი წინასწარმეტყველება იშვიათათ გამტყუნდებოდა ხოლმე. რობინიც როგორღაც ცუდათა გრძნობდა თავს, როდესაც იგი სახლში ბრუნდებოდა. თოვლი რომ დიდი დასდოს, -ომ გზა შეიკვრის, ფიქრობდა იგი, მე ველარ ვივლი სამუშაოთ და რაღა ეშველებათ ჩვენებსო. წინეთაც ყოფილა დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ზამთარი და რობინი რამდენიმე დღეობით ვერ წასულა სამუშაოთ.

ყმაწვილი დაიღალა, მოშივდა კიდეც, თან ისიც აწუხებდა, რომ მას სახლში იქნება ცარიელი ხმელა პურიც არ დახვედროდა.

— მაგრამ ჭერი მაინც დამხვდება, თავ-შესაფარი, სადაც შემიძლიან დავისვენო და გავთბე კიდეც. შეშა და ჩინჩხვარი ბევრი მაქვს სახლში მიზიდული და თუ გამოილია იქ ახლო ბლომათ არის ჩირგვები და რამდენიც მინდა მოვზიდამო. აიმედებდა თავის თავს რობინი.

საშინელი ცივი ქარი ღრიალით დატრიალებდა და სიცივე ძვლებამდის ატანდა რობინს. იგი ხან-და-ხან ხელს მოიკიდებდა ხოლმე ყურებზე და დაიწყებდა სრესას. უეცრივ რობინს რაღაც ხმაურობა მოესმა. ეს ქარის ზმუილი არ არის... ეს ბავშის ხმაა. რობინი შეკრთა, გააშურა ფეხი, მაგრამ აი, კიდევ ხმა... კვნესა, კიდევ ქვითინი.. უფრო და უფრო გარკვევით ისმის.

— ნამდვილათ ვიღაცა ტირის! გაიფიქრა რობინმა,— მაგრამ რა ვქნა? ნუ თუ წავიდე სახლში და ის ვიღაც დავტოვო განსაცდელში, არ მივეშველო, არ დავუყვაო? რობინი შედგა, განაბა სული, რომ შეეტყო ტირილის ხმა საიდან მოდიოდა. გაბრუნდა იქით, ბილიკს დაადგა და მის გასაოცებლათ იქვე ახლო კიდევ მოესმა ტირილი. ამ დროს მთვარეც გამოვიდა თავის საბრძანებლიდან და იმ არე-მარეს მოჰფინა ნათელი. რობინმა დაიხედა ძირს და დაინახა, რომ მის ფეხებთან გდია პიწაწინა ქალი და საცოდავათ ტირის. იგი ასე ორი წლისასა ჰგავდა.

რობინი დასწვდა ბავშს ასაყვანათ. ყმაწვილი გაჩუმდა, ორივე ხელი მოსჭიდა მაგრათ და ვინემ რობინი გამოერკვეოდა, პაწაწინა კიდეც გადაუცოცდა ხელებზე.

— რა გიყო, ჩემო პაწაწინავ? ჰკითხა იმან.—საიდან გაჩნდი შენ აქ? რობინი უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, ვინემ იმ პატარას. პატარა-კი მიეკრა რობინს გულზე და მალე ჩაეძინა. რობინმა გადააფარა თავისი პალტოს კალთა და გადასწყვიტა მისი სახლში წაყვანა.

მიდის რობინი ხელში ბავშვით, ცივი ქარი უბერავს პი-

რისახეზე, დაღლილობისაგან ფეხებს ძლივს მიათრევს და თან ამასა ფიქრობს: რას იტყვის დედა, როდესაც ამ პაწაწინას დაინახავსო. იქნება ეწყინოს კიდეც! არ იცის, საცოდავმა, რითი გამოიკვებოს თავი და შვილები და ესეც მიემატება! ბუტბუტებდა რობინი და მიაშურებდა შინისკენ. ჯერ კიდევ დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი და ეს აწუხებდა. მაგრამ როდესაც რობინი დალალვისაგან ჩერდებოდა და მწარე ფიქრებში ვარდებოდა, ამ დროს პაწაწინა გოგონას ხელები, თითქო სანუგეშებლათ, მიეკვროდა რობინის აღელვებულ გულს და მის დამძრალ ტუჩებს, რობინს მაშინვე დარდი გადაეყრებოდა ხოლმე გულიდან. როგორც იყო მიაღწია სახლამდის. მისი დადარდიანებული დედა იდგა კარებთან და სულ განაბული ყურს უგდებდა რობინის ფეხის ხმას.

— შენა ხარ, რობინ? შეჰყვირა დედამ და მის ნაღვლიან სახეს სიხარულის სხივმა გადაჰკრა, როდესაც მან რობინის ხმა გაიგონა.

რობინი მოკრძალებით შევიდა სახლში. დედამ გაკვირვებით შეჰხედა პაწაწინა სტუმარს.

— არ შეიძლებოდა, ჩემო დედავ, რომ მე ასე არ მოვქცეულიყავი. ჩემს ადგილს ყველა ასე მოიქცეოდა და დაწვრილებით მოუყვა თავის თავ-გადასავალს.

— ძალიან კარგათ მოქცეულხარ, შვილო. ამ პაწაწინას იმ უდაბურ ადგილს დატოვება და მეტადრე ამ საშინელ ღამეში, დიდი ცოდვა იქნებოდა. ჩემი სავალალო მხოლოდ ის არის, ჩემო სიცოცხლევ, რომ ვერაფრით ვერ შემიძლიან გავუმასპინძლდე ამ ღვთის სტუმარს. ერთი პურის ნატეხი-ღა დაგვრჩა, შვილო, შენთვის და სხვა არაფერი არა გვაქვს-რა. მხოლოთ ეს შემიძლიან რომ ამ პაწაწინას თბილათ მოვასვენებ.

დედამ ჩამოართვა პაწაწინა და ცეცხლა-პირას დასვა. ბავშვი შეაცქერდა მას და გაუცინა კიდეც. რობინსაც ამავე დროს რაღაც შვება მიეცა. პატარამ გაიქნ-გამოიქნია თავისი ხუჭუჭ-თმიანი თავი, წამოიწია, მიიხედ-მოიხედა და ხელებით ანიშნა, რომ მშიანო. რობინმა აიღო პურის ნაჭერი, ნახევარზე მეტი სტუმარს მისთავაზა და სიხარულით შეცქეროდა როდესაც მისი სტუმარი მადიანათ შეექცეოდა პურს. რობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ძმებიც გაკვირვებით შესცქეროდენ პატარას. მის დებს-კი ჩასძინებოდათ.

— დღეს კიდევ არაფერი, შვილო, მაგრამ ხვალ რაღა უნდა ვჭამოთ? თუ ესეთი დარი დადგა, მე ველარსად შემეძლება წასვლა და ცუდი საქმე დაგვემართება. დაუმატა დედამ და მწარეთ აემღვრა თვალები.

რობინი სასოწარკვეთილებით ისმენდა დედის ლაპარაკს. თავის შიმშილს ის არ აქცევდა ყურადღებას — ამას ის უკლავდა გულს, რომ მისი დები მშივრები ყოფილან მთელ დღეს და შიმშილისაგან დასუსტებულნთ მიუძინიათ. ასე მწარეთ ნაღვლობდა რობინი. მის ძმებს-კი ჟრიამული გაჰქონდათ და კასკასებდენ. „გაჩუმდით!“ უნდოდა ეთქვა რობინს, მაგრამ შეხედა თუ არა მათ უზრუნველ, მხიარულ სახეს, ხმა ჩაუწყდა და კრინტი ველარ დასძრა. პაწაწინა მათი სტუმარი ამხიარულებდა, აკასკასებდა რობინის ძმებს: იგი ხან ერთს, ხან მეორეს ჩააკბეჩინებდა ხოლმე პურის ნაჭერს და ამათ ეს ლუკმები ისე ტკბილათ ეჩვენებოდათ, რომ სიცილ-ხარხარი გაუდიოდათ.

— ამათ ასე ჰგონიათ, რომ თაფლსა სჭამენ, საწყლები, მშივრები არიან, მაგრამ ეს პაწაწინა არსება მაკვირვებს! — რა გულ კეთილი რამ სჩანს; თვითონ დარწმუნებული ვარ, რომ შიან და თავის კერძსაც-კი სხვას თავაზობს, ფიქრობდა რობინი.

ყველას მალე ძილი მოერია. დედამ სათითაოთ გაჰხადა ტანისამოსი და ჩააწვინა ერთათ თბილ ლოგინში. რობინიც იქვე ახლო მიწვა, ცოტა დამშვიდებული იმ პაწაწინების ცქერით.

— მე ხვალ ადრე უნდა ავდგე, დედილო, რომ, ვინემ სამუშაოთ წავიდოდე, პური გიშოვნოთ სადმე.

რობინმა მართლაც და ჩვეულებაზე უფრო ადრე გაიღვიძა, თუმცა-კი წინა დღით ძალიან დაქანცული იყო და მოსვენება უნდოდა. მთვარის შუქი მისდგომოდა იმ ოთახს, სადაც იგი იწვა და ამას ჰგონებოდა, მზე კიდეც ამოსულაო. მიიხედ-მოიხედა და შენიშნა, რომ ოთახი უკვე მილაგებ-მოლაგებულია, ჭურჭელი დარეცხილი და დალაგებული თაროზე, ქურები გაჩაღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საცოდავი დედაჩემი, რა ადრე ამდგარა! ეტყობა მე ძალიან მაგრათ მძინებია, რომ მისი შემოსვლა ვერ გამიგია. დაუძახა დედას, ხმა არ მოესმა. დაუძახა კიდევ, ჰხედავს რომ პასუხს არავინა სცემს. ადგა, გავიდა მეორე ოთახში და გაოცებულმა უკან დაიხია, როდესაც შენიშნა, რომ დედა მისს ისევ ტკბილათ ეძინა ლოგინში; მაგიდაზე სუფრა გაშლილი იყო და რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ ელაგა! მშვენიერი პური, კარაქი, რძე და სხ. იქვე ახლო ბუხარში ყავა დუღღებოდა და მისი მშვენიერი სუნი მთელ ოთახში დამდგარიყო. — დედა, დედა! — წამოიყვირა გაკვირვებულმა რობინმა, საიდან გაჩნდა ყველა ეს? განა შენ კიდევ მოასწარი ბაზარში გასვლა? ან გუშინ ჩვენსა ხომ არავინ ყოფილა? დედაც პასუხის ნაცვლათ განცვიფრებით შესცქეროდა მაგიდას.

— ჩავიცვათ ჩქარა და ვისაუზმოთ, წამოიყვირეს პაწაწინა დებმა. დიდი ჟრიამული და სიხარული შეუდგათ ყველას. მხოლოთ პაწაწინა სტუმარი არ იღვიძებდა და ლიმილი მოჰფენოდა მის მშვენიერ სახეს.

— ვინც უნდა იყვეს, საიდანაც უნდა იყვეს იგი, მხოლოთ ეს შემიძლიან ვსთქვა, რომ ამ პაწაწინამ ბედნიერება შემოიტანა ჩვენს ოჯახში, წარმოსთქვა დედამ.

მთელი სახლობა მაგიდას მოუჯდა. როცა ჭამით მოსულიერდნენ, დაიწყეს ისევ იმაზე ლაპარაკი, თუ ვისი წყალობა იყო ამდენი საჭმელის მოტანა. მალე ყველანი აიშალენ, დედამ ნასუფრალი საკუჭნაოში შეიტანა და აქაც შენიშნა, რომ ხარიხაზე ჩამოკიდებული იყო მშვენიერი ლორი და ერთი დიდი კალათა კვერცხებით სავსე.

— რობინ, შვილო! — წამოიძახა დედამ. ახლა ჩვენ ალარა გვიშავს-რა, შიმშილს ჩვენთან ხელი არა აქვს, თოვლიც რომ ჩამოჰყაროს და შინიდან გარეთაც რომ ვერ შევძლოთ გასვლა.

თქვა ესა და გადმორაზა კარები. დარმა პირი იცვალა, თოვლი შესდგა და რობინი მხიარულათ წავიდა სამუშაოთ. იგი მხნეთა და კარგათ გრძნობდა თავს, კარგი საუზმის შემდეგ.

— მოიკითხე, შვილო, აქეთ-იქით, იქნება დაჰკარგა ვინმემ ბავშვი! — გასძახა დედამ გზაზე მიმავალ რობინს. — უეჭვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია მისი მშობლები მთლათ დატანჯულები იქნებიან ამ ბავ-
შვის ძებნაში.

რობინმა მართლაც შესძრა მთელი არე-მარე და ბავშ
პატრონი ერსად გამოჩნდა. ის დღე ბედნიერი დღე იყო
რობინისთვის. ფერმის პატრონმა შეაქო კარგი მუშაობისათ-
ვის, ჯამაგირი მოუმატა და დაჰპირდა კიდეც, რომ არაფერს
არ გამოგირიცხავ ჯამაგირიდან ცუდი ხამთარიც რომ დადგეს
და ვერ შესძლო მოსვლა სამუშაოთაო.

რობინი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და უნდოდა, რაც
შეიძლებოდა ჩქარა, ეს სიხარული დედისთვის გაეზიარებინა.
საღამომაც მოაწია. მუშაობა გათავდა და რობინმა კუნტრუ-
შით გასწია შინისკენ.

— ჩვენ ახლა აღარა გვიჭირს-რა—ფიქრობდა რობინი
—კიდევაც რომ ვიპოვნოთ ამ ბავშის პატრონები, მე ახლა
აინუნშიაც არ ჩავაგდებ, რადგანაც დედა-ჩემი შესძლებს მის
გაზრდაკვებასაც.

როდესაც რობინი მივიდა იმ ადგილს, საიდანაც ბავშის
ხმა მოესმა წინა დღით, იგი ცოტა ხნობით შედგა. ცა მოწ-
მენდილი იყო, მთვარის შუქი მოჰფენოდა იმ უდაბურ ად-
გილს და წინადღის საშინელი ქარის მაგივრათ მოჰქროდა ნე-
ლი, თბილი ნიავი. კიდევ რაღაც ხმა მოესმა ყმაწვილს. ხმა
მხიარული, წკრიალა და ამ ხმას მოჰყვა ცბიერი სიცილიც.
რობინი მიბრუნდ-მობრუნდა, აქა-იქა ათვალიერა, მაგრამ რა
დაგიკარგავს, რას ეძებ! ახლა კი ცოტა არა—ფერი ეცვალა
და საჩქაროთ გაჰქანდა შინისკენ. დედა წინ გამოეგება; თუმ-
ცა მას მხიარულობაც ეტყობოდა, მაგრამ რაღაც-კი აწუხებდა
კიდეც.

— ჩვენი პატარა მშვენიერი სტუმარი წავიდა, შვილო
რობინ, უთხრა დედამ.—მაგრამ არა მგონია, რომ დაუშავდეს
რამე. იგი შენს დებთანა თამაშობდა და უეცრივ ისე გაიქცა,
რომ ვეღარ დავეწიენით. შორიდან, ძალიან შორიდან მოის-
მოდა მისი მშვენიერი სიცილ-კასკასი. ახლა-კი მესმის თუ
რასაცა ნიშნავს ეს. შვიდ წელიწადში ერთხელ კეთილი ანგე-
ლოზები, რომლებიც ცხოვრობენ ამ მიუვალ ადგილებში,
ეჩვენებიამ ხოლმე ადამიანს. გუშინ სწორეთ ამისთანა დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და ჩვენ უეჭველია ერთი მათგანის ნახვით გავბედნიერდით.

რობინმაც უამბო დედას, გზაზე კიდევ მომესმა მშვენიერი სიცილი და გამოვეშურე ეს ამბავი შენთვის მეამბოო. ყველანი ბედნიერათ და კმაყოფილათ გრძნობდენ თავს.

შემდეგ ხანებში, შვიდი წლის შემდეგაც, ბედნიერება არა შორდებოდა ამ ოჯახს. ყველაფერი რიგზე მიდიოდა, ყველაფერი კარგათ უსრულდებოდათ. თვითონ რობინი კარგი, კეთილშობილი და ჩინებული კაცი დადგა და დიდხანაც იცოცხლა თავისი ოჯახისა და მოყვასის დღეგრძელობისათვის.

**ალ. ნათაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით კოპერფილდი.

ჩარლზ-დიკენსის მოთხრობა.

## IV.

### ჩვენი ცხოვრება სასწავლებლებში.

ერთ დღეს ჩვენ სასწავლებელში დიდი მოძრაობა ატყდა. ცხადათ მახსოვს ის სიჩუმე როდესაც მისტერ კრიკლი მოულოდნელათ გაჩნდა საუზმის შემდეგ. იგი შედგა კარებში და ჩვენ ყველას თვალი გადაგვავლო. მან თავის თარჯიმანის შემწეობით შემდეგი სიტყვა გადმოგვცა:

— აბა ყმაწვილებო, ფრთხილათ იყავით, გახსოვდეთ, რომ ხელ ახლათ სწავლას იწყობთ. არ იზარმაცოთ და ყველა თავ-თავის საქმეს შეუდგეთ.

ამ სიტყვის შემდეგ მისტერ კრიკლმა გადმომხედა და მითხრა, რომ თუ შენ იკბინები—არც მე ჩამოგივარდებიო. მერე მაჩვენა თავისი წკეპლა და მკითხა:

— როგორა გგონია შენი კბილებისთვის კარგი იქნება? აბა ერთი ვცადოთ ეს წკეპლა როგორ იკბინება! აბა, როგორ იკბინება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ მის სიტყვას წკეპლის დაკვრა მოსდევდა. მე ტკივილისაგან ვიკლაკნებოდი და მდუღარე ცრემლები გადმომდიოდა. მაგრამ მარტო მე არ მეღირსა ეს ყურადღება და პატივი დირექტორისა: მეტი წილი ყმაწვილებისა ტკივილისაგან იკლაკნებოდენ, როდესაც დირექტორი მათ გვერდზე გაივლიდა. სტირფორტი ჯერ ისევ მფარველობას მიწევდა და ამიტომ არც ერთი მასწავლებელთაგანი არა ჰბედავდა ჩემს წყენას ისე, რომ მხოლოდ უმფროსი მცემდა ხოლმე.

ერთხელ ჩემ მფარველთან ლაპარაკის დროს, მამიჩემის სამკითხველოდან წაკითხულ წიგნის გმირი მოვიხსენიე და ვუთხარი, რომ მე ბევრი წიგნები წამიკითხავს.

— მაშ აი რას გეტყვი, კოპერფილდ, მითხრა სტირფორტმა,—შენ მიამბე ხოლმე რაც წაგიკითხავს.

მე ძალიან მომეწონა ეს აზრი და ჩვენ გადავწყვიტეთ იმ საღამოდანვე დაგვეწყო. ყველა ჩემი მსმენელები დიდის გულდასმით მიგდებდენ ყურს და ?ე ყველას საყვარელი შევიქენი. საგნები ძალიან მალე შევისწავლე. სწავლაში მისტერ მელი მშველოდა, რომელსაც შეუყვარდი. მეტათ მწყინდა როცა ვხედავდი [?]რა მედიდურათ ეპყრობოდა მას სტირფორტი და ყოველ შემთხვევაში მასხარათ იგდებდა, ეს მით უფრო მაწუხებდა, რომ მე სტირორტს არაფერს უმალავდი და სხვათა შორის ისიც კი ვუამბე, როგორ მოგზაურობის დროს მისტერ-მელმა თავის მოხუცებულ დედასთან მიმიყვანა.

ერთხელ შაბათს ჩვენ სამოსწავლო ოთახში ვისხედით და გაკვეთილებს ვამზადებდით. ავი დარი იყო და ჩვენ გარეთ არ გვიშვებდენ. მისტერ მელი წიგნს მისჯდომოდა და ცდილობდა გულის ყურით გაეგო წაკითხული, რადგან ოთახში დიდი აურ-ზაური იდგა.

— ჩუმათ! დაიყვირა ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა მისტერ-მელმა—ჩუმათ, ლაწირაკებო.

სტირფორტი ოთახის მეორე ბოლოში იჯდა და როცა მასწავლებლის ყვირილი გაიგონა ერთი საშინლათ დაუსტვინა.

— ჩუმათ, მისტერ სტირფორტ, უთხრა მელმა.

— თქვენ თვითონ ჩუმათ იყავით! სიტყვა შეუბრუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწითლებულმა სტირფორტმა,—ნუ დაივიწყებთ ვის ელაპარაკებით.

— თქვენ იმითი სარგებლობთ, რომ მოსწავლეთა შორის სახელი გაქვთ, უთხრა მისტერ მელმა ტუჩების ცახცახით, და ამით გნებავთ შეურაცყოფა მიაყენოთ პატიოსან კაცს.

— პატიოსან კაცს? რომელს, სადა? მიჩვენეთ ერთი... უთხრა სტირფორტმა.

— შეურაცყოფა მიაყენოთ იმ კაცს, რომელიც უიმისოთაც ცხოვრებისაგან დაჩაგრულია. ამ-სთანა საქციელს უსინიდისობა და საზიზღრობას ეძახიან.

— აი რას გეტყვით, მისტერ მელ, ერთხელ და სამუდამოთ: თუ თქვენ გაბედეთ და მიწოდეთ ეპატიოსნო და საზიზღარი ამის შემდეგ თქვენ თითონ ხართ სულმდაბალი და მათხოვარა.

ოთახში უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და მე დავინახე რომ მათ შუა უფროსი იდგა.

— მისტერ მელ, გარკვევით უთხრა უფროსმა, იმედია თქვენი ღირსება არ დაივიწყეთ?

— არა, მისტერ, მე ღირსეულათ ვიქცევი. მე მახსოვს ჩემი მოვალეობა. სასურველია, მისტერ კრიკლ, თქვენც მომაქციოთ ყურადღება. სამართალიც ასე მოითხოვს.

მისტერ კრიკლმა მკაცრათ შეხედა მისტერ მელს, სკამზე ჩამოჯდა და სტირფორტს მიმართა:

— სტირფორტ, თქვენ მაინც მიამბეთ რაშია საქმე?

ეს უსიამოვნო ამბავი იმითი დაბოლოვდა, რომ სტირფორტმა უთხრა, რომ ის ნებას არ მისცემს მას შეურაცყოფა მიაყენოს იმ კაცმა, რომლის დედა ღარიბთა თავშესაფარში ცხოვრობს და მოწყალებით იკვებება.

იმ საღამოზევე მისტერ კრიკლმა უკმეხათ დაითხოვა საწყალი მასწავლებელი.

მე ძალიან მცხვენოდა, ჩემი მიზეზით დაითხოვეს მისტერ მელი, მაგრამ სტირფორტის შიშით ხმას ვერ ვიღებდი.

მალე ჩემი უფერული ცხოვრება იმით განსხვავდა, რომ სტუმრები მეწვიენ: მისტერ პეგგოტტი და ქალი, რომლებმაც ძღვნათ კიბორჩხალები მომიტანეს. ჩვენ ჩუმათ და შეუმჩნევლათ კიბორჩხალები ჩვენ საწოლ ოთახში გადავზიდეთ, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოზე საუცხოვო ვახშამი გავაკეთეთ. ტრაღლს ეს ვახშამი ძვირათ დაუჯდა: ღამე ავათ გახდა და იძულებული იყო დიდ ძ ლი წამალი დაელია. რადგანაც ავადმყოფობის მიზეზი დამალა, წკეპლები ბლომათ მოხვდა და კიდევ იმითი დასაჯეს, რომ ბერძნული ხელმძღვანელიდან ექვსი გვერდი უნდა დაესწავლა.

V.

**ზეფხულობით დამითხოვეს.**

ბოლოს მოაწია იმ სანატრელმა წუთმა, როდესაც მე ჩავჯექი იარმუტის დილიჟანში შინ წასასვლელათ. იარმუტს მიდიოდა ნაცნობი მეეტლე ბ. ბარკასი. ამ ყმაწვილს ძალიან უნდოდა ცოლათ შეერთო პუგოტი და მთხოვა ეს მისთვის გადამეცა და ჩვენ გავუდექით გზას.

მივედით თუ არა ბარკასმა დადო ჩემი ჩემოდანი ბაღის კარებთან და წავიდა. ბილიკით სახლისაკენ გავემართე. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ველოდი, რომ რომელიმე ფანჯარაში ბატონ ან ქალბატონ მორდსტონის სახე გამოჩნდებოდა, მაგრამ არავინ სჩანდა. მივედი კარებთან და რადგან ვიცოდი როგორ იღებოდა, ჩუმათ და გაუბედავათ შეველ სახლში.

სასტუმრო ოთახიდან დედიჩემის ხმა ისმოდა. ის რაღაცას დაწერდა და მე მეგონა, რომ მე მის მკლავზე ვწევარ და მის ნაზ ხმას ვისმენ. ჩუმათ შევიპარე სასტუმრო ოთახში. დედა ბუხრის წინ იჯდა და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. ბავშვის პატარა ხელი დედას კისერზე ედო. დედას თვალები ბავშვის პირისახეზე მიეპყრო და ნაზათ აძინებდა.

მე გამოვეხმაურე: დედას შეეშინდა და წამოიკივლა, მაგრამ როცა მიცნო, კეთილი, საყვარელი, დევი მიწოდა. მერე შუა ოთახში გამოვიდა, დაიჩოქა, მაკოცა, დაიდო ჩემი თავი თავის მკერდზედ, საცა პატარა ბავშვს ეძინა, მისი პაწაწა ხელები ტუჩებზე მომადო და ითქვა. ამ წუთას სიკვდილი ვინატრე.

— ეს შენი ძმაა! მითხრა დედამ ალერსით და ხვევნით— შენი ძმაა, ჩემო კარგო დევი, ჩემო საწყალო ბიჭო და ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკოცნიდა და მეხვეოდა. ამ წუთას შემოვარდა ოთახში პეგოტი, დაიჩოქა ჩვენთან და გიჟივით მეალერსებოდა.

აღმოჩნდა, რომ მე ისე ადრე არ მელოდენ. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ბ-ნი და ქ-ნი მორდსტონები შინ არ იყვენ და მხოლოდ ღამე დაბრუნდებოდენ. მე ამისთანა ბედნიერებას არ მოველოდი. არ მეგონა, რომ ჩვენ კიდევ როდისმე მოგვიხდებოდა რამდენიმე საათი ერთად ნეტარებაში გაგვეტარებინა. მეგონა, რომ წინანდელი ბედნიერების დრო დაგვიბრუნდა, როდესაც ჩვენ ერთად ვსადილობდით ბუხრის წინ. პეგოტის უნდოდა მოსამსახურეობა გაეწია, მაგრამ დედამ უბრძანა იმასაც ჩვენთან ერთად ესადილნა.

სადილის დროს მე პეგოტის ბ-ნ ბარკასზე დაუწყე ლაპარაკი და დედამ პირველად გაიგო, რომ ბარკასს პეგოტის შერთვა უნდა.

მე შევნიშნე, რომ დედა თუმცა იღიმებოდა, მაგრამ მისუსტებული და მოწყენილი იყო. საღილის შემდეგ პეგოტიმ ყველაფერი, მიალაგა ხელსაქმე, შემოიტანა სასტუმრო ოთახში და ჩვენ ყველანი ბუხარს მოუსხედით. ხანდისხან, როცა ბავშვი იღვიძებდა მე ხელში ავიყვანდი ხოლმე და ძმური სიყვარულით ვეთამაშებოდი. როცა ის დაიძინებდა მე ადრინდელივით დედას მიუჯდებოდი, მოვხვევდი წელზე ხელს, თავს მის მხარს მივადებდი და ისევ ძველებურათ ბედნიერი ვიყავ. ჩემს ბავშვობაში ეს დღე მეტათ ბედნიერი იყო, და ეს ბედნიერი დღე, აღარ გამეორებულა.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა გავიგონეთ მომავალ ეტლის ხმაურობა, ჩვენ ყველანი წამოვდექით. დედამ აჩქარებით მითხრა, რომ რადგან ეხლა დაგვიანებულია და ბ-ნ და ქალბატონ მორდსტონებს უყვართ, რომ ბავშვები ადრე წვებოდენ უკეთესი იქნებოდა დასაძინებლათ წახვიდეო. როცა საწოლ ოთახში შევედი ისე მეჩვენა, თითქოს მორდსტონებს რაღაც სუსხი მოჰყვაო.

მეორე დილას, როცა ქვევით ჩავდიოდი, სადაც მისტერ მორდსტონს უნდა შევხვედროდი, შიშმა და აღელვებამ შეშიპყრო.

მამინაცვალი ბუხართან ზუგ შეჭეული იდგა. ქ-ნი მორდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტონი ჩაის ამზადებდა. როცა მე შევედი იმან მკაცრად შეგ-მომხედა, თითქოს არ მიცნოო.

ერთი წუთის ყოყმანის შემდეგ მე მიუახლოვდი:

— მაპატიეთ, ბატონო, მე ძალიანა ვწუხვარ ჩემს საქციელზე და იმედი მაქვს, რომ მომიტევებთ.

— დიდათ სასიამოვნოა შენი მონანიება, დავით, მიპასუხა მან.

და სწორედ ის ხელი გამიწვდინა, რომელზედაც მე ვუკბინე. ვერ შევიმაგრე თავი რომ არ შემეხედა ნაკბენ წითელ წერტილზე.

— როგორა ბრძანდებით? ვკითხე მე ქ-ნ მორდსტონს.

— ოხ, ნუ ლაპარაკობ, ღვთის გულისათვის! დაიკვნესა ქ-ნ მორდსტონმა და ხელის მავივრათ ჩაის საწურავი გამოიწოდა,—დიდხანს დარჩები?

— მთელი თვე.

— რომელ დღიდან?

— დღეიდან.

— ოჰ! მითხრა ქ-ნ მორდსტონმა,—ერთმა დღემ განვლო კიდეც!

ამ რიგად ის გავლილ დღეებსა სთვლიდა, აქედან ცხადი იყო, რომ ძალიან არ ვუყვარდი. პირველსავე დღეს საუბედუროთ საშინლათ შევაშინე. მე ოთახში შეველ საცა ის დედა ისხდენ. რამდენიმე კვირის პატარა დედაჩემს მუხლებზედ უწვა. მე ცივედი და ფრთხილათ ავიყვანე ხელში. ქ-ნ მორდსტონმა ეს რო დაინახა ისე წამოიკივლა, რომ ბავშვი კინალამ ხელიდამ არ გამივარდა.

— საყვარელო ჯენნი, რა მოგივიდათ?

— ღმერთო ჩემო; კლარა! განა არ ხედავთ. დევმ ბავშვი ხელში აიყვანა.

ის თითქო გაქვავდა შიშისავან, მაგრამ ძალა დაატანა თავს, მეცა და ხელიდან ბავშვი გამომტაცა, როცა პატარა სული მოითქვა ამიკრძალა ბავშვის მიკარება. მეორედ, როცა ჩვენ სამნი ერთ ოთახში ვისხედით, ისევ ის ძვირფასი უმანკო ძამია გახდა მიზეზი ხელ-ახლათ ქ-ნ მორდსტონის განრისხვისა. დედა მუხლებზე მწოლარე ბავშვს თვალებში უცქეროდა და მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დევი აქ მოდი!

მე მივედი და იმან თვალებში შემომხედა. ამ დროს შევნიშნე, რომ ქ-ნ მორდსტონმა ძმის ძაფზე აგება შესწყვიტა.

— მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამისთანა მზგავსება ყოფილიყო, სთქვა დედამ, მე მგონია საშინლად ჰგვანან, ფერით მაინც, ჩემსას. რა საკვირველი მზგავსებაა.

— რაზედ ლაპარაკობთ, კლარა! დაეკითხა ქ-ნ მორდსტონი.

— ახ, ჩემო ჯენნი, გაუბედავათ უპასუხა დედამ, შეშინებულმა მის უკმეხ ხმით—მე მგონია პატარას თვალებს და დევის თვალებს საკვირველი მსგავსება აქვთ.

— კლარა! დაიყვირა ქ-ნ მორდსტონმა და ძალზე განრისხებული სკამიდან წამოვარდა:

თქვენ ხანდახან ძალიან სულელი ხართ.

— რათ? ჰკითხა დედამ.

— მთლათ სულელი!.. გაიმეორა ქ-ნ მორსტონმა.—აბა განა ვინმე გაჰბედავს შეადაროს ჩემი ძმის წული და თქვენი ვაჟი. მათ შორის იოტის ოდენა მზგავსება არ არის. და თუ როდისმე დაემსგავსებიან მე აქ აღარ დავდგები. და არც მაგისთანა შედარებას დაუგდებ ყურს.

ქალი ოთახიდან გავიდა და კარები გააჯახუნა.

მე ვხედავდი, როგორ ვძულდი და-ძმას და როგორ ეშინოდა დედას მათთან ჩემდამი სიყვარულის გამოჩენისა.

ხანდახან საღამოობით სამზარეულოში გავრბოდი და პეგოტისთან ვიჯექი, მაგრამ არც ეს მოეწონათ. მე უეჭველად სასტუმრო ოთახში უნდა ვყოფილიყავი, როგორც საჭირო საგანი, რომ საწყალ დედაჩემისთვის შენიშვნები მიეცათ და გასაჭირში ჩაეგდოთ.

— დავით, მითხრა ბ ნ მორდსტონმა, როცა ოთახიდან მინდოდა გავსულიყავი,—ჩემდა სამწუხაროთ გამჩნევ, რომ შენ კერპი და ავი ყოფილხარ.

— სწორეთ მხეცსავით კერპია, შენიშნა ქ-ნ მორდსტონმა.

— მე ვერ მოვითმენ, რომ ჩემ თვალწინ ვხედავდე მაგისთანა ცუდ ხასიათს და არ ვეცადო გასწორებას.

— მომიტევეთ, ბატონო, გაუბედავათ ვუთხარი,—მე აზრათაც არ მომსვლია სიკერპე მას შემდეგ, რაც აქ საზაფხულოთ ჩამოვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავის გასამართლებლათ ნუ სტყუით, ბატონო, დამიყვირა ბ. მორდსტონმა, ისე გაბოროტებულმა, რომ დედამ უნებლიეთ იმისკენ ხელი გაიშვირა. — კერპობით მოგდით, რომ აქედან გარბიხართ. მინდა, რომ თქვენ აქ იმყოფებოდეთ, და არა იქ. ხომ მიცნობ, დევი! მე მსურს, რომ შენ შეასრულო ეს. დაჯექ ახლავე.

მე ხმა გაკმენდილი დავემორჩილე.

— გარდა ამისა მე ვერაფრით ვერ მოვიწონებ შენს მასლაათს ქალბატონ პეგოტისთან და მსურს რომ მოიხსენოს ეგენი, გესმის, დევი? შენ მიცნობ და გესმის რაც მოჰყვება, თუ შენ სწორეთ არ შეასრულებ ჩემ ბრძანებას?

მე ძალიან კარგათ ვიცოდი ეს შედეგი, იქნება უკეთ, ვიდრე მას ჰქონდა წარმოდგენილი. ვხედავდი როგორ ძლიერ სწუხდა ჩემი საწყალი დედა; ამიტომაც ხმა ამოუღებლივ დავემორჩილე მის ბრძანებას. ამას იქით აღარ შეეფარებია თავი ჩემ ოთახში და აღარც მისაუბრია პეგოტისთან. მოწყენილათ ვატარებდი დღეებს სასტუმრო ოთახში და მოუთმენლად ველოდი იმ წამს, როცა ნებას მამცემდენ დასაძინებლათ წავსულიყავ. ბოლოს მოადგა ჩვენს სახლს ბარკისი თავის ეტლით და მე ჩავჯექი გასამგზავრებლათ. დედა, მიუხედავათ ქ-ნ მორდსტონის გაფრთხილებისა ალერსით გამომემშვიდობა და ბალჩის კარებამდე გამომყვა, გამაცილა.

ბ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოკლე ცნობები

## თვალთ-უჩინარ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებიდან.



ალე ჩვიდმეტი წელიწადი გახდება მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დედა ქალაქში პარიზში გარდაიცვალა შესანიშნავი სწავლული კაცი ლუი პასტერი. ამ დიადი ადამიანის სიკვდილი იმგლოვა არა მარტო საფრანგეთმა, რომლის სასიქადულო და საამაყო შვილი იყო, არამედ ყველა განათლებულმა ერმა. მის დასაფლავებას დაესწრო თითქმის ყველა განათლებულ ერთა წარმომადგენელი, ის იგლოვა მთელმა კაცობრიობამ. ვინ იყო პასტერი? პასტერი იყო ღარიბი დედ-მამის შვილი, მამა იმისი თავდაპირველათ უბრალო ჯარის კაცი იყო. გაათავა თუ არა სამსახური მან მიატოვა თავისი სამშობლო ქალაქი დოლი და ცოლშვილით გადასახლდა სხვა ქალაქში არბუაში, სადაც მან ტყავებით ვაჭრობა დაიწყო. პირველი ხანა თავის ყმაწვილობისა პასტერმა ამ სავაჭრო სახლში გაატარა მამასთან. შემდგომ ის მიაბარეს სახალხო სკოლაში. დასაწყის კლასებში პატარა ლუი ცუდათ სწავლობდა, ხშირად აკლდებოდა ხოლმე გაკვეთილებს, სამაგიეროთ საშინლად უყვარდა მხატვრობა და ნემსკავით თევზაობა; მესამე კლასში რომ გადავიდა პასტერი უფრო ჭკუაში ჩავარდა, მიხვდა რომ თავისი სიცელქით და სიზარმაცით მშობლებს გულს უკლავდა, თავი დაანება მხატვრობას და მდინარეზე სირბილს, ნემსკავები შორს გადაისროლა, ფერადი კარანდაშები უჯრაში ჩაკეტა და ისეთი გულმოდგინეთ შეუდგა სწავლას, რომ თავისი ბეჯითობით და ცნობის მოყვარეობით მასწავლებლები ხშირად გაკვირვებაში მოჰყავდა.

ოცი თუ ოცდაერთი წლის პასტერი უმაღლესს სასწავ-
ლებელში შევიდა. იქ განსაკუთრებით სწავლობდა სხვა და
სხვა დარგს ბუნების მეტყველებისა და საოცარ ნიჭს იჩენდა
ფიზიკისა და ქიმიის შესწავლაში. ოცდა ექვსი წლის პასტერი
უკვე სამეცნიერო ასპარეზზედ გამოვიდა და ერთ-ერთ უმაღ-
ლესს სასწავლებელში პროფესორათ აირჩიეს.

პასტერს დიდი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერებისა და კა-
ცობრიობის წინაშე. ბევრი სარგებლობა მოუტანა პასტერმა
თავისი შრომით და გამოკვლევით, როგორც სასოფლო მეუ-
რნეობას ისე განსაკუთრებით მკურნალობას — მედიცინას. სხვა
რომ არაფერი არ გაეკეთებინა რა მის მიერ გამოკვლეული
და შემოღებული ცოფით ავადმყოფთა წამლობა იმდენათ
დიდ-მნიშვნელოვანია, რომ სავსებით უკვდავ ჰყოფს მის სა-
ხელს, მაგრამ პასტერის ზენაარ ნიჭს სხვა ბევრი რამ სასარ-
გებლო და საგულისხმიერო შეუმუშავებია და გამოუკვლევია.
პასტერამდის თითქმის არც კი იცოდენ ღვინის დღღილის და
საზოგადოთ ღვინის წახდენა-დაზიანების მიზეზები, არ იცო-
დენ აგრეთვე მოარულ, გადამდებ სენთა საბაბი, იცოდენ
მხოლოდ, რომ ესა თუ ის სენი გადამდებია, რომ ერთი ადა-
მიანისაგან მეორეს შეეყრება, ხოლო რა აჩენდა პირველად
ამ სენს ეს კი გამოურკვეველი იყო. ძველ დროში ფიქრობ-
დენ, რომ ყოველი სენი და აგრეთვე ყოველი ცხოველი არ-
სება მისით ჩაისახება, თავის თავად გაჩნდებაო. ზოგიერთ ად-
რინდელ მეცნიერთ დანამდვილებით ეგონათ, რომ ხორცის
ნაჭერი მატლებს შობსო, ან მაგალითად წყალში, რომ ცხე-
ნის ფაფარი ჩააგდო გველთევზებათ გარდაიქცევაო, ექვს გა-
რეშედ მიაჩნდათ, რომ ლომს, ამ ცხოველთა, მეფეს უდაბნოს
გახურებული სილა-ქვიშნარი აჩენსო და სხვა. ბევრნი ამგვარ
მოსაზრებას ცხოველ არსებათა გაჩენის შესახებ სამართლია-
ნათ უარყოფდენ და მტკნარ სიცრუეთ მიაჩნდათ, ხოლო უმე-
ტესი ნაწილი მაინც საყოველთაოდ აღიარებდა, რომ ზოგი-
ერთა პაწაწა ცხოველნი და მცენარნი, რომელნიც უბრალო
თვალით არც კი დაინახებიან უსათუოდ თავის-თავად ჩნდე-
ბიანო. პასტერმა ხანგრძლივი და ბეჯითი კვლევა-ძიების შემ-
დეგ ის უტყუარი ჰაზრი დაასკვნა, რომ თვისნებითი ჩასახვა
ანუ თავისთავად გაჩენა რომელიმე ცხოველისა ან მცენარისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც გინდ ის პატარა იყოს, ყოვლად შეუძლებელია და ამის მაგალითს ბუნება ჩვენ არ გვაძლევსო; პირიქით ყოველი ცოცხალი ქმნილება მცენარეა იგი თუ ცხოველი. მისივე მზგავსი არსებიდან არის შექმნილ-წარმოშობილია. გადამდებ სენს აჩენენ სხვა და სხვა თვალთ უჩინარი არსებანი, რომელნიც ჩვენ გარშემო ჰაერში დაჰქრიან და ჩვენ მახლობლად მდებარე საგნებზედ ბინადრობენო. თუ ეს ერთი ციცქნა არსებანი ჩვენ სხეულში მოხვდენ და იქ შესაფერი საზრდოებელი ნიადაგი ნახეს, გამრავლდებიან, თავიანთ შემუსვრელ ძალასაც გამოიჩენენ და ჩვენ ავად შევიქმნებით. ამ პაწაწა უჩინარ არსებათა საერთო სახელს უწოდებენ მიკროორგანიზმებს, რაც აღნიშნავს ძლიერ პატარა არსებას. ერთი რიგი ამ მიკროორგანიზმთა ეკუთვნიან მცენარეთა სამეფოს და სოკოებისა და შლამ-ბალახის მონათესავენი არიან, ამათ საზოგადოთ ბაკტერიებს ეძახიან. სიტყვა ბაკტერია წარმოდგება ბერძნული ენიდან და ნიშნავს ჩხირს ანუ მოკლე ჯოხსა, რადგან უმეტესი წილი ბაკტერიები თავისი გარეგნობით ჩხირებს გვანან; მეორე მიკროორგანიზმები წარმოგვიდგენენ სულ უბრალო ორგანიზაციის (მოწყობილობის) მქონე ცხოველებს. ამათ სწავლულებმა სახელათ დაარქვეს უმარტივესი ანუ პირველ-ყოფილი ცხოველები.

სამართლიანათ რომ ვთქვათ პასტერამდისაც იცოდენ მიკროორგანიზმთა არსებობა. ძველ საბერძნეთის ზოგიერთი სწავლულნი დაბეჯითებით ამტკიცებდენ, რომ ჰაერი ყოველივე ცოცხალ ქმნილებათა თესლს შეიცავსო, ბევრს ძველ რომაელთა მეცნიერთ გამოუთქვამსთ ის ჰაზრი, რომ ჭაობიან ადგილებში ცხოვრობენ ისეთი პაწაწკინტელა ცხოველნი, რომლების თვალით დანახვა შეუძლებელია. და თუ ეს ცხოველნი ადამიანს პირიდან ან ცხვირის ნესტოებიდან სხეულში ჩაჰყვა საშიშარ ავადმყოფობას გაუჩენსო. თავდაპირველათ ეს პაწია ქმნილებანი ყველა დამპალ ნივთიერებაში, მაგალითად დამპალ ხორცში, აღმოაჩინა მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ერთმა კათოლიკე ბერმა — ათანასე კირხერმა. ის ხმარობდა ისეთ მინას, რომელიც მხოლოდ 32-ჯერ ადიდებდა საგანს. იმავე კირხერმა შავი ჭირით ავადმყოფთა სისხლში დაინახა პატარა მრავალი არსებანი მატლების მზგავსნი; მან ეს არსებანი ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვალა ნამდვილი და გამომწვევ მიზეზად ამ საშიში შემუმ-
სვრელ სენისა. ეხლანდელი თვალთსაზრისით რომ გავითვა-
ლისწინოთ ის რაც მაშინ კირხერს უნახია და მხედველობა-
ში მივიღოთ ის განმადიდებელი მინა, (ლუპა) რომლითაც
კირხერი მუშაობდა შეგვიძლიან ის აზრი დავასკვნათ, რომ
ამ მეცნიერს მარტო უბრალო მატლები ან სისხლის მრგვალი
ბურთულები უნდა დაენახოს, რადგან შავი ჭირის ბაქტერიას,
რომელიც ამ თვრამეტიოდე წლის წინეთ აღმოაჩინა მეცნი-
ერმა იერსენმა ამ სენით შეპყრობილ ადამიანთა სისხლში,
კირხერი მისი მინით ვერ დაინახავდა. იერსენის ბაკტერია
რომ კარგათ დავინახოთ საჭიროა 1000-1200-ჯერ გადიდება
და ეს მხოლოდ შესაძლებელია ეხლანდელი ძლიერი მიკროს-
კოპის შემწეობით. მაშ როგორც სჩანს კირხერს ბაკტერიები
არ უნახავს; როგორც ვიცით ნამდვილათ ეს პაწია არსება-
ნი თავისსავე ნერწყვში ნახა ერთმა ოლლანდიელმა სწავლუ-
ლმა ანტონ ლეევენლუკმა, მანვე პირველათ გამოიგონა საგნე-
ბის უფრო დიდათ მაჩვენებელი მინა-იარაღი, მიკროსკოპი.



თავისი ნანახი და გამოკვლეული
ლეევენლუკმა დაწვრილებით აღწერა
და მათი გარეგანი სახე-გამოხატუ-
ლება სურათზედ აღბეჭდა. ამითი
ჩვენ ეხლა ვტყობილობთ, რომ მას
მართლა დაუნახია ბევრი მოდგმა იმ
ბაქტერიებთა, რომელთაც ვინაობა
ეხლა-ხან მეცნიერებმა უფრო დაწვ-
რილებით გამოიკვლიეს; მართალია
ლეევენლუკმა თავისივე გაკეთებული
მიკროსკოპით დაინახა და აღწერა
მრავალნაირი მიკროორგანიზმე-
ბი, მაგრამ მას სრულებითაც არ
ჰგონებია, თუ ამ პაწია არსებათა
და მოარულ სენთა შორის რაიმე
დამოკიდებულება იქნებოდა;
მან ვერ მოახერხა ახსნა იმისა, თუ საიდან გაჩნდენ ნერწყვში
ან ძველ ხორცში და ან ხორცის წვენში ეს არსებანი: ჰაე-
რიდან ჩაცვივდენ შიგ, თუ თავისთავად გაჩნდენ. თვისნებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასახვის მომხრე სწავლულნი და მათ შორის ნიდგამიც ამტკიცებდენ, რომ მიკროორგანიზმები ამა თუ იმ ნივთიერების დულილის და ლპობა-დახრწნის შედეგიაო, ესე იგი ხორცი ჯერ დალპება და მერე მიკროორგანიზმი გაჩნდებაო. მან მოახდინა შემდეგი გამოცდა: აიღო ხორცის ნახარში წვენი (ბულიონი) აადუღა, ჩაასხა გამდუღრულ, სუფთა ბოთლებში, თავი მჭიდროთ დაუცვა და ისე შეინახა; რამდენიმე ხნის შემდგომ ბოთლებში ბულიონი აიმღვრა, შიგ აღმოჩნდა ბაქტერიები. ნიდგამა სთქვა, ხარშვა-დულილი ყოველივე სიცოცხლეს სპობს, ბულიონში ყოფილი ბაქტერიებიც უნდა დახოცილიყვენ თორემ თავდაცულ ბოთლში ხომ ვერ მოახერხებდენ შესვლას, თუ მართლა ისინი ჰაერში დაქრიან და ბინადრობენო. სჩანსო მსჯელობდა ნიდგამი ეს პაწია ქმნილებანი თავისთავად გაჩნდენ ბულიონშიო, ესე იგი ისინი მომკვდარი, დამპალი სითხიდან წარმოიშვენო. ამ ჰაზრს ბევრი მოსარჩლე გაუჩნდა, ყველაზედ უფრო იცავდა ამ მოსაზრებას საფრანგეთის ცნობილი მეცნიერი პუშე.

პასტერის გამჭრიახი გონება ვერ შეურიგდა ამნაირ განმარტებას, ის ამტკიცებდა, რომ ზოგიერთა ბაქტერიები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ სიცხე სიმხურვალესა, მათ ძლიერი, თითქმის 120 გრადუსი სიცხეც ვერა რას დააკლებს; ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ ნიდგამის გამოცდაში ბულიონში მყოფი ზოგიერთა ბაქტერიები სიცხეს გადაურჩენ, სრულიად არ დახოცილან და ან ბოთლში თავსაცავიდან ახალმა ბაქტერიებმა მოახერხა შესვლაო. პასტერმა ჯერ ბულიონი რამდენჯერმე აადუღა, შემდგომ ვიწრო ყელიანი ბოთლი ძალზედ გამდუღრა და შიგ ბულიონი ჩაასხა, ბოთლის თავი პატრუქის ალზედ გაადნო და დააკავშირა. ამ წესით მომზადებული ბულიონი დიდხანს არ წამხდარა. სჩანსო ამტკიცებდა პასტერი, ბულიონი ფუჭდება, ხორცი ლპება, ღვინო დულს და სხვა—იმიტომ რომ ჰაერიდან მათში ვარდებიან სხვა და სხვა ბაქტერიებიო; ეს თვალთუჩინარი არსებანი იღებენ თავის გამოსაკვებ ნივთიერებას, იზრდებიან, მრავლდებიან, და ახდენენ მათში, ესე იგი ბულიონში, გინდ ღვინოში სხვა და სხვა ცვლილებას. თქვენ უთუოდ გისვამთ ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხდილი ყურძნის წვენი,—ის ხომ ტკბილია, მაგრამ როცა ღვინოთ კეთდება ის თავის სიტკბოს კარგავს. ტკბილია ყურძნის წვენი იმიტომ, რომ შიგ საკმაო შაქარია გახსნილი. თუ ღვინის ტკბილი რაიმე ჭურჭელში ჩავასხით დუღილს დაიწყებს, აჩუხჩუხდება, ზედაპირზედ აქა-იქ პატარ-პატარა ბუშტებს მოიგდებს, რომელთა რიცხვი თანდათან მრავლდება, რამდენიმე დღის შემდეგ ტკბილი დუღილ-ჩუხჩუხს დაასრულებს, თავის პირვანდელ სიტკბოს კარგავს და ჩვეულებრივ სასმელ ღვინოთ გარდაიქმნება. ამ შემთხვევაში ტკბილში თვალსაჩინო ცვლილება ხდება, მაში გახსნილი შაქარი ირღვევა, იშლება და სანაცვლოდ ჩნდება სპირტი (ალკოღოლი) და კიდევ ერთი ჰაერისმაგვარი ნივთიერება, ანუ გაზი, რომელსაც ნახშირმჟავეს უწოდებენ. როგორც პასტერმა გამოიკვლია ტკბილის ადუღების მიზეზი ყოფილა ერთი თვალთუჩინარი სოკო, რომელიც შესდგება მარტოოდენ ერთი უჯრისაგან, გარედან ამ უჯრას, როგორც მიკროსკოპი გვიჩვენებს გარსი აფარია, ხოლო შიგა და შიგ სავსეა ნერწყვისებრივი სქელი სითხით. ამ სითხეს სწავლულებმა სახელად პროტოპლაზმა დაარქვეს. ამ პაწია ერთუჯროვან მცენარეთა გროვა, რომელიც გარეგნობით ოპს მოგაგონებს პასტერმა შეამჩნია ყურძნის მარცვლის კანზედ და ფოთლებზედ, სახელათ ამათ დუღილის დედას ანუ საღვივარ სოკოს ეძახიან. ყურძნის დაწურვის დროს ეს სოკოები რასაკვირველია ტკბილში მოჰყვებიან და იწვევენ დუღილ-ჩუხჩუხს. მათი ზეგავლენით ყურძნის ტკბილის შაქარი, როგორც ზემოთ ვთქვი, ქრება და მაგივრად ალკოღოლი და ნახშირმჟავე ჩნდება. ყურძნის მარცვლებს რომ რაიმე საშვალებით ეს საღვივარი სოკოები ჩამოვაშოროთ, მაგალითად მტევანი მდუღარე წყალში კარგათ გავრეცხოთ ანუ მხურვალე ორთქლში გავატაროთ და მისგან გამოხდილი ტკბილი სუფთა გამდუღრულ ჭურჭელში ჩავასხათ, თავი მაგრათ დავუცოთ, ვნახავთ, რომ ის ჩუხჩუხ-დუღილს აღარ დაიწყებს. საკმარისია ბოთლში ცოტა საღვივარი სოკო ჩავყაროთ, რომ ტკბილი ისევ ადუღდეს და ღვინოთ გადაკეთდეს. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ღვინის წარმოებაში ამ პაწაწა თვალთ-უჩინარ საღვივარ სოკოს. წარმოიდგინეთ, რომ უიმისოდ ჩვენ არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინო გვექნებოდა და არც ლუდი და არც სხვა ალკოღოლიანი სასმელი. რადგანაც ყველა ამათ მოსამზადებლად საჭირო ყოფილა შესაფერი საღვივარი სოკო. მეფურნე პუერის გამოსაცხობ ცომს ვერ ააღვივებს თუ საჭირო საღვივარი ანუ, როგორც სხვანაირად უწოდებენ, ხაში არ იხმარა. რაც შეეხება ღვინის დაზიანებას და ავადმყოფობას პასტერმა გამოიკვლია, რომ იმის მიზეზიც პაწია მიკროსკოპიული მცენარენი ყოფილან, რომელნიც ჰაერში ბინადრობენ. როცა ისინი შემთხვევით ღვინოში ჩაცვივიან, იქ თავიანთი გამრავლების და აღორძინების ხელმომწყობ პირობებს ნახავენ, გამოაცლიან ღვინოს ზოგიერთა მის შემადგენელ ნივთიერებას და ამით ხელს შეუწყობენ ღვინის წახდენას და დასნეულებას. ამ ნაირად ეხლა გამორკვეულია, რომ ღვინოს აძმარებს ერთნაირი სოკო, რომელიც მიკროსკოპში ორი ანუ რამდენიმე ერთი მეორეზედ მიბმულ წერტილებათ მოსჩანან. პრკე მოკიდებულ ღვინის მიზეზიც ყოფილა კვერცხივით მოგრძელო თვალთუჩინარი სოკო, ამას სახელად **მიკოდერმა ვინი** ჰქვიან, თვით პრკე ამ პაწაწა არსებათა გროვა ყოფილა.

იმ მეცნიერებას, იმ მოძღვრებას, რომელიც ჩვენ გვამცნობს თვალთ-უჩინარ მცენარეთა ანუ ბაკტერიებთა ყოფა-ცხოვრებას და იკვლევს, თუ რა დამოკიდებულება და გავლენა აქვთ მათ სხვა ცოცხალ არსებაზედ და განსაკუთრებით ადამიანზედ. სახელად ჰქვიან ბაქტერიოლოგია. ამ მოძღვრების მამამთავრად სამართლიანათ ითვლება პასტერი. ამიტომაც ოქვენთან საუბარი ამ ზეკაცის სახელის მოგონებით დავიწყე. შემდეგ წერილში ვეცდები, რამდენათაც შეიძლება უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ბაკტერიების ვინაობას და განსაკუთრებით იმ მოდგმათა, რომელნიც ადამიანს ამა თუ იმ გადამდებ სენს უჩენენ.

ი. თ—ძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ხლოია

(თარგმანი)



ეპოლიტანის ლაჟვარდ წყლის ყურეს პირას იდგა მშვენიერი სასახლე ერთი წარჩინებული რომაელი კაცის ლიცინიკლარისა. სასახლის წინა პირიდან ზედ ზღვის პირამდის, ჩადიოდა განიერი მარმარილოს კიბე, მორთული ორივ მხრით მშვენიერი ქანდაკებით. სახლის უკან, ფერდობზედ, გაშენებული იყო მშვენიერი დიდი ბაღი, რომელშიაც ლალად ყვავოდა მაგნოლია, ხშირი მბზინავი კვიპაროსები და სასიამოვნო ჩქრიალით მიიკლაკნებოდენ ქვევით გრილი, სუფთა ნაკადულები. გარეშემო ყოველის ფერს სიმდიდრისა და ბედნიერების ბეჭედი ედო და ეტყობოდა, რომ მისს პატრონს არავითარი საშუალება არ დაუშურებია, რომ ეს მამული გაემშვენიერებინა და გაეკეკლუცებინა.

ამ მარმარილოს კიბეზედ, თითქმის ზედ წყლის პირას, იდგა ახალგაზრდა ქალი და დაფიქრებული გაჰყურებდა ნეაპოლიტანის ზღვის ყურეს. ეს იყო ერთად-ერთი ქალი ლიცინი კლარისა—ფლაბია, დედით ობოლი. დედა მოუკვდა მას, როცა ის ჯერ ბავშვი იყო. მამა თვით სულსაც კი არ იშურებდა მისთვის და ამიტომ სიმდიდრეში და ფუფუნებაში ზრდიდა. გარს მრავალი მონები ეხვია. ფლაბია ყოველთვის მოწყენით იყო, მას არაფერი საქმე არა ჰქონდა, რადგანაც იმის მაგივრად, ყოველისფერს სხვანი აკეთებდენ. იმისი მამა სასტიკად და შეუბრალებლათ ებყრობოდა მონებსა, იყო ამპარტავანი და დიდების მოყვარე კაცი და, რასაკვირველია, თავის ქალისათვისაც სურდა წარჩინებული და მდიდარი საქმრო. ამისთანა ცხოვრებამ ფლაბიას აღუძრა გულში უკმაყოფილება; მონების უტყვმა მორჩილებამ და მათ სიცოცხლეზედ და სიკვდილზედ უფლებამ—ესეც გახადა ამპარტავანი.

ქალი ზედ ზღვის პირას იდგა. და მოწყენით შეჰყურებდა მეთევზეთა ნავების იალქნებსა, და ლურჯ ვეზუვის მთას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლიდან წვრილი სვეტა ამოდიოდა ბოლი. „რა ვქნა, რით გავერთო?“ ფიქრობდა ფლაბია,—„რა გავაკეთო, რომ როგორმე მოვიშორო ეს სევდა?“

მან მოიფიქრა ეტლით გასეირნება, მხოლოდ მარტო, ულმონოთ. წარსულს კვირაში მამამ აჩუქა მას ორი პატარა ცხენი, კართაგენიდან მოყვანილები. უბრძანებს, რომ ის ცხენები პატარა, ოქროში დაფერილს ეტლში შეაბან, ჩაიცვამს რომიდან ახლად მოტანილს, საუცხოვო კაბას, ხელში დაიჭერს აღვირებს და გააქროლებს ისე, როგორც ქარი. მამა დაინახავს მას სარკმელიდან, შეეშინდება, შეეხვეწება, რომ დაბრუნდეს, რადგანაც ცხენები ხამები არიან, მაგრამ ფლაბიას არ ეშინიან, და ამიტომ, ამ გაფრთხილებაზედ, მამას მხიარული სიცილით უპასუხებს და კვლავ გააქროლებს ცხენებს. ფლაბიამ აიარა კიბე, შევიდა ბაღში და გაემართა იქით, საიდანაც, ალიანდრის ხეებთა შორის მონათა სადგომებისა და საჯინიბოების კრამიტის სახურავები მოჩანდენ. იქ ფლაბია უბრძანებს უმფროს მეჯინიბეს სტიქს, რომ ცხენები შეაბას.

მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ქალმა პირდაპირ მომავალი მამა დაინახა. ის თავ ჩაღუნული მოდიოდა და სახეზედ ეტყობოდა, რომ რაღაცა მწარე ფიქრი აწუხებდა. ფლაბია რომ დაინახა, ტკბილათ გაუღიმა, სახეზედ სიამოვნების სხივმა გადაჰკრა, მაგრამ მწარე ფიქრის კვალი კი მაინც შერჩა მის რომაულ მაღალ შუბლის ნაოჭებში.

— მე ძალიან მოხარული ვარ, ფლაბია, რომ სწორედ აქა გნახე, უთხრა მან,—შენთან სალაპარაკო მაქვს.

— ისევ საქმროზედ? ჰკითხა ფლაბიამ და მხიარულათ გადიკისკისა.

— საქმროზედ არა, განაგრძო ლიციანიმ,—უფრო დიდს საქმეზედ. დავსხდეთ აქა და ყურადღებიგდე.

ისინი იქვე მარმარილოს სელზედ დასხდენ. ლიციანი დიდხანს ფიქრობდა, როგორ დაეწყო ლაპარაკი.

— აბა, რა ამბავი, ჰკითხა ბოლოს ფლაბიამ.

— აი, რაშია საქმე, შიუგო მამამ,—წუხელი მოულოდნელათ მოვიდა ჩემთან ჩვენი მონა ნუმერი და მიამბო შემდეგი. ამ ორმოცდა ათიოდე წლის წინათ, შორეულს პალეტინაში, გამოჩენილა ვილაცა კაცი, რომელსაც სახელათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს უწოდებენ. იმას, როგორც ამბობენ, მრავალი სასწაული მოუხდენია, მაგრამ ეს კიდევ არაფერი,— რომ ის უქადაგებდა მოყვასის სიყვარულს, როგორც თავის თავისას. ქადაგობდა, რომ ყველა ადამიანი თავისუფალია, და სწორედ ამიტომ არ უნდა იყვეს დაყოფვა ბატონებათ და მონებათ, და ჩვენ, მონების პატრონებმა, უეჭველად უნდა განვათავისუფლოთ ჩვენი მონები. ეს კიდევ არაფერი: ყველა ჩვენი მონები, როგორც ნუმერიმ მითხრა, იმ ქრისტეს—ღმერთად აღვიარებენ, მის სახელით მზად არიან ყოველგვარი ტანჯვა მიიღონ. შენ ხომ იცი, რამდენი მონა გვყავს? რამდენიმე ათასი. მარტო შენ, საკუთრივ შენთვის, ორასი მონა ქალი გყავს. წარმოიდგინე, რა ამბავი იქნება, მთელმა უფლება მოკლებულმა ბრბომ თავისუფლება რომ მოითხოვოს!

მან მიიხედ-მოიხედა, და, რა დარწმუნდა, რომ მათ არავინ ათვალიერებს და ყურს არ უგდებს, დაიხარა ქალისაკენ და ჩურჩულით განაგრძო:

— ნუმერიმ ისიც მითხრა, რომ ჩვენს მონებს ყოველლამ რაღაცა მოლაპარაკება აქვთ ხოლმე. ისინი სულ სხვანაირათ ლოცულობენ, ყველანი ერთად მწყობრივ გალობენ და თავის თავს ქრისტიანებს უწოდებენ. ერთის სიტყვით, მათ აღარა სწამთ ჩვენი ღმერთები! ლოცვის შემდეგ ისინი იყოფებიან ორ ჯგუფათ და შეუდგებიან ხოლმე ბჭობას: ერთი ჯგუფი ახლავ, დაუყოვნებლივ, თხოულობს თავისუფლებას, და მზად არის იარაღით ხელში დაგვეცენ, ჩვენ გასაჟლეტათ, მეორე ჯგუფი კი ამის წინააღმდეგია და ურჩევს დაემორჩილონ ამ მდგომარეობას, იცადონ დი მოთმინებით იტანონ მონობა. აი, ფლაბია, გაფრთხილებ, ერიდე პირველი ჯგუფის ხალხსა. ნურსად გახვალმარტო. მონები აღელვებულნი არიან და მეშინიან, რომ შეურაცხყოფა არავინ მოგაყენოს.

ფლაბიას ნაპერწკლები გადმოსცვივდა თვალებიდან.

— შეურაცხმყოს? წარმოსთქვა მან,—მე? რომაელი კეთილშობილი ქალი? მერე ვის შეუძლიან გაბედოს?

და მართლაც, იმის დასამტკიცებლათ, რომ მის შეურაცყოფას ვერავინ გაბედავდა, ის წამოხტა ზეზე და ამაყის ნაბიჯით წავიდა საჯინიბოსაკენ. მამამ თვალი გააყოლა და თავი გადიქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისეთივე კერპია, როგორიც მისი განსვენებული დედა იყო, წამოიძახა მან.

შემდეგ უბიდან ამოიღო პაპირუსის ხვეული და საჩქაროთ გადაათვალიერა მასზედ დასერილი მონების სია.

— სულ აქ არიან... წარმოსთქვა მან,—სუ ყველა, ვინც კი დამისახელა ნუმერიმ. დღესვე ვუბრძანებ, რომ ზოგნი იმათგანნი ჩატენონ ტომრებში, გაუკერენ პირი და გადაყარონ ზღვაში; ზოგნი რომმი დააგლეჯინონ მხეცებსა, ზოგნი კი გაგზავნონ კლდის სამტვრევათ. ვნახოთ მაშინ როგორ მოაწყობენ საიდუმლო კრებებს! თქვა მებატონემ და კმაყოფილი წავიდა სახლში.

ფლაბია მივიდა საჯინიბოსთან, უბრძანა სტიქს, რომ კართაგენიდან მოყვანილი ცხენები შეება პატარა ეტლში და სასახლესთან მიეყენებინა, თვითონ კი წავიდა სახლში ახალი ტანისამოსის ჩასაცმელათ. თორმეტმა მონა ქალმა ჩაცვა ახალი კაბა. მან ყელზედ ჩამოიკიდა ოქროს ძეწკვი, რომელზედაც, აკონწლილი იყო, სხვათა შორის, ხუთი დიდი ბრილიანტი, ხელში აიღო პატარა ლამაზი შოლტი, მარდათ შეხტა ეტლზედ და გააქანა ცხენები.

— ფრთხილად! მიაძახა მამამ სარკმლიდან.

— კარგი, ნუ გეშინიან! მიუგო მან და უფრო გააჩქარა ცხენები.

ბინდი მოახლოვებული იყო, როდესაც ფლაბია, სეირნობით კმაყოფილი მიუახლოვდა თავის სახლს. ჭისკართან შენიშნა, რომ ძეწკვს ერთი დიდი ბრილიანტი აკლდა. ფლაბიამ 'შეაყენა ცხენები იმ ქოხიან, რომელშიაც ჯაჭვით დაბმული ჰყავდათ საშინელი ავი, უზარმარარი აფრიკანული ძაღლი ლეო, რომელიც არავის არ იკარებდა, თვით პატრონსაც კი. ვისაც უნდა გაევლო იმის ახლო-მახლო, ლეო გაბრაზებული ყეფით მიიწევდა ხოლმე, და ჯაჭვს რომ არ დაეჭირა, უთუოდ დაჰგლეჯდა ლუკმა-ლუკმათ. ზოგჯერ, ბატონის ბრძანებით, ძაღლს მიუსევდენ ხოლმე რომელიმე ურჩ მონას და მერე დიდის წვალებით ძლივს-ღა გამოჰგლეჯდენ ხოლმე ცოცხალ-მკვდარსა.

— ხლოია! აქ მოდი! დაიძახა ფლაბიამ ისეთის ხმით, თითქო თვით ძაღლს უძახისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლავ, ახლავე, ქალბატონო! მოისმა ქოხიდან ვიღაცას ბავშური ხმა—აქა ვარ!

ძაღლის ქოხიდან თავი გამოყო ძლიერ შავმა პატარა, თორმეტის წლის, ქალმა. ჭუჭყიანი, დაგლეჯილი საცმელი ძლივს უფარავდა მზე მოკიდებულს მხრებსა, თმები აწეწილი ჰქონდა, ლოყები ფერ-მიხდილი.

— აქ გახლავარ, ქალბატონო, აქა! თავაზიანათ გაიმეორა ხლოიამ, სულ მთლად გამოძვრა ძაღლის ქოხიდან და გამოიჭიმა ფლაბიას წინ.

ხლოია მონა იყო. ისა და მისი დედა ერთად იყიდეს სადღაც, ვიღაცა ბერძნისაგან ძალიან იაფად და მოათავსეს ლიცინი კლარის მამულში. მისმა დედამ ვერ აიტანა შეუჩვეველ მძიმე მუშაობა და მალე გარდაიცვალა, და მისი პატარა ჩაყვითლებული ქალიშვილი, რომელსაც მუშაობა არ შეეძლო, ღვთის ამარად დარჩა. ამისათვის მას მიანდვეს ლეოსთვის ულუფის მიწოდება იქნება ლეომ ეგეც შეჭამოს, ამბობდენ მაშინ მონები. ერთით მაინც ნაკლები დარჩება ტანჯული ადამიანი! მაგრამ ლეომ არ გაგლიჯა ხლოია, სამაგიეროთ ამ უზარ-მაზარს ავსა და დაუნდობელს ძაღლსა და პატარა მიმტკნარებულ ქალის შორის გულითადი მეგობრობა დამყარდა. ხლოია დაბინავდა იმავე ქოხში, სჭამდა ძაღლთან ერთად, ერთი ჯამიდან, ხრავდა ძაღლისაგან მიტოვებულს ძვლებსა და მასთან ჩახეტებული ეძინა, რადგანაც ასრე უფრო თბილათ იყო ხოლმე. ამას შემდეგ იმის ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო, რომ გაავებული ძაღლი დამშვიდებულიყო, შეეწყვიტა ყეფა და კუდის ქნევით მოლაქუცებოდა იმასაცკი, ვინც ტკბილათ დაელაპარაკებოდა ხლოიას.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტკვარი, ჭოროხი და რიონი.

ამათ სათავეთა ბუნება და ხალხი.

III.

ახშამთ უკან ფარჩის ლოგინები რო დაგვიგეს, ყველანი გაგვაოცა... ამ უალაგო ალაგას ამისთანა ფუფუნება!..

— ჩვენში-გურიაში თუ მინახავს ამისთანად სტუმრის დახვედრა... სთქვა ქუთაისელმა.

— ქურთებს და მათს ისტორიას ჩვენ, ქართველები, ძრიელ ნაკლებად ვიცნობთ — უპასუხე მე — და თუ ვიცნობთ, მხოლოთ იმითი, რომ ნარდის კამათლებს როცა ვამღერთ, ვათამაშებთ, ქურთულად ვსთვლით: იექ, დუ, სე, ჯაარ, ფენჯ, შეშ და სხვ... ან კი ბევრმა იცის განა, რომ ეს დუშეში და ფენჯი-ჯაარი ქურთული თვლა არის!?.

აი ეს ჩვენი მასპინძელი ქურთი შეძლებულ კაცად ითვლება, ცხოვრობს სოფ. ხევში (ხევი, ხევა, 350 სული ითვლება, სულ ქურთები არიან), აქ არსიანის მთის კალთებზე მხოლოდ იაილაზე ამოდიან ზაფხულობით: საქონელს ასუქებენ (ზოგს საკლავათაც), სწველენ, ყველსა და ერბოს ამზადებენ და სხვა...

აქაური ქურთები უწინ, ოსმალოს დროს, რაინდობის და მწყემსობის მეტს მაინც არას არიგებდენ. ახლა კი, რუსობის დროს (1878 წლიდან) გუთანსაც მოჰკიდეს ხელი — მიწაზე დამკვიდრდენ...

სოფლებში ქურთებმაც ქვითკირიანი, ბანიანი სახლები იციან. შეძლებულ ოჯახს უეჭველად აქვს ბუხრიანი სადარბაზო ოდა, გარშემო ტახტით შეკრული. ტახტზე ძვირფასი ხალი-ხალიჩა და ზედაც ფარჩის მუთაქები; თაროზე ორი-სამი ყალიონი; კედლებზედ გაკრულია მექა — მედინის წმ. მეჩითების და წმ. სალოცავების გეგმა — სურათები; ამათ გარშემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმეტრიულად შემომწკრივებულია მაჰმადის არაბული წმ. სიტყვები, ყურანიდან აღმოწერილი, ხლართული ასოები ოქროთია მოვარაყებული, ხოლო ამათ ყველაზე მეფობს ისლამის ემბლება—ახალი მთვარე, ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, მდიდრის ან დიდებულის ოჯახშია.

— ჩვენს მასპინძელს სწორეთ მაგრე აქვს მორთული ოდა...

— მოიცა, დანიელ, ნუ მიშლი... სტუმართ მოყვარეობა, მგზავრის მიღება, პურადობა, როგორც მთელს აზიაში, ქურთებშიაც წმიდა საქმეთ არის მიჩნეული. მაგალითად, შეხვედით სოფელში, პირველ შეხვედრილს უბრძანებთ: გამიძეხი ვისი ოჯახია თქვენში ცნობილი, მიღებული.

მართალია როდესაც გეწვევათ სტუმარი, თქვენ ნება არც-კი გაქვთ შეჰკადროთ და ჰკითხოთ ვინაობა!.. მხოლოდ მოვალენი ხართ ღირსეულად, პატივით დაუხვდეთ სტუმარსაც და ცხენსაც—დაუმატა ქუთაისელმა ღა განაგრძო: მხოლოთ სამი დღის შემდეგ გაქვთ უფლება გამოჰკითხოთ სტუმარს ვინაობა და მიზანი მისი მოგზაურობისა...

—

მთელს კავკასიის აქეთა მხარეში ქურთობა ასი ათასზე (100,000) მეტი ითვლება: მჭიდროთ ასახლიან ყარსის ოლქში (45 ათასი) და ერევნის გუბერნიაში (42 ათასი), დანარჩენნი დაქსაქსულ არიან ბათუმის და თბილისის გუბერნიებში...

— ქურთები ჯავახეთშიაც ასახლიან—ვარძია—თმოგვის მიდამოში, აგრეთვე წუნდასთან—ისე მტკვრის ნაპირებზე გაყოლება—ჩაუმატა ჯავახელმა.. რაშიაც მე დავეთანხმე და სიტყვა განვაგრძე.

— კავკასიაში, რა თქმა უნდა, შემოხიზნულ ხალხათ ჩაითვლებიან. ქურთების ნამდვილი კერა, სამშობლო ქვეყანა—ქურთისტანია, მდებიაროს წინა აზიაში, არმენიისს მთების სამხრეთ გვერდაზე და კალთებზე... ასე ჩაყოლება ვიდრე ტიგროსის მდინარემდე. ქურთისტანი მითომ და ემორჩილება ოსმალეთს და სპარსეთს, რადგან ამ ორ სახელმწიფოთა შორის მდებარეობს, ნამდვილად-კი არც ერთს ამ სახელმწიფოთ იმდენი ძალა არ შესწევთ, რომ ფაქტიურად, სრულებით დაიმორჩილონ ეს მთიელები,—თავისუფლების სიყვარულით გატაცებული მამაცი და მეომარი ხალხი!..

ოსმალეთის თურქისტანში სცხოვრობს 1.50 .000 (ერთ. მილიონ ნახევარი), ხოლო სპარსეთის ნაწილში 7,50,000 (სამი მეოთხედი მილიონისა) ესე იგი კავკასიაში მცხოვრებნიც რო მივათვალოთ, ქურთები თითქმის ორ მილიონ ნახევარს შეადგენენ, მაგრამ...

— არა ბატონო, რჯულის მადლმა, მეტნი არიან... მე გამიგონია ამათ შეიხისაგან, რომ სამ მილიონზე მეტნიც არიან.

— მართალი ხარ, დანიელ, ჩემი სტატისტიკური ცნობები ოფიციალურ წყაროებზეა დამყარებული... მოიცა ნუღა მიშლი სიტყვას...

— ბოდიშს ვიხდი! მარა შეკითხვას-კი გაკადრებთ, თქვენ არ მოგიხსენებიათ აქ რაღამდენი ქურთი სახლობს ამ არე-მარეში?.. შემეკითხა ქუთაისელი.

— მართალი ხართ და მეც მოგახსენებთ რო კოლა-არტაანის მაზრაში, უმთავრესად-კი კოლას საერისთაოში ამ ჟამათ 10,658 სული ქურთი ცხოვრობს ორივე სქესისა...

— ნუ რას უკაცრაოდ... კოლაა ნამდვილი თუ გოლა? შემეკითხა კახელი თავადი...

— ეგ ეხლა, რუსობას, დაერქვა არდაგან გოლ, გოლსკი უჩასტოკ და სხვ. თორემ როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ისტორია-გეოგრაფიიდან... სახელებს მე ისე ვიხსენიებ, როგორც საქართველოს აქ მეფობა-ბრძანებლობის დროს იყო— ვუპასუხე.

— „ცოდვა გამჟღავნებული სჯობსო“—აღიარა ჩვენმა ლექტორმა, კახელმა თავადმა,—მე ქართველთა ისტორიაც არ ვიცი არამ თუ ქურთებისა, გამიგონია კი თამარ მეფე, მეფე ირაკლი... რას ბრძანებთ! შინ ქართულს ლაპარაკსაც მიშლიდენ და გიმნაზიაში ხო ვინ გაიცხელებდა თავს საქართველოს ისტორია ესწავლებინათ.

— თქვენ ხო პირველი მაგალითი არა ხართ... ეგ ჭირი დიდი ხანია მძვინვარებს საქართველოში... უპასუხა ქუთაისელმა...

— „გული გულობდეს, თორემ ქადა ორივე ხელით იჭმევაო“... სურვილი იყოს თორე ეხლა ვინ-ღა გიშლით შეისწავლოთ ისტორია და გეოგრაფია თქვენის სამშობლო ქვეყნისა!?. არც მე გახლავართ ისტორიკოსი, მაგრამ რაც ვიცი ხალისით, შემისწავლია ვუპასუხე მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზიარების მადლმა რო მე კარგად ვიცი ჩვენი ჰაიოს-ტანის ისტორია! აი ეს ქვეყნები შავზღვამდე, გროზნამდე, ეს არარატ-მასისი, კასპის ზღვა სუ სომხეთია!.. ჩაერია ლა-პარაკში ბარუნ-ხაჩატურა...

— მაგისთვის როგორ გაწყენინებთ, ხაჩატურ-აღა. ფეშ-ქეშ! მაგრამ ხო გაგიგია ეს ანდაზაც: „ფიცი მწამს და ბო-ლო კი მაკვირვებსო“...

ბოლოს ასე მოვაგვარეთ საქმე: ბუნების მეცნიერების საგანი ვაკისრეთ კახელ თავადს, რომელსაც ამის შემდეგ ბუნების მეტყველი ეწოდა, ხოლო ისტორია—ეტნოგრაფია მე ვიკისრე და განვაგრძე სიტყვა:

— უწინდელ ხეთელებთან, ჩვენს წინაპარებთან ერთად, ლუსმულ წარწერებში ქურთებიც იხსენიებიან, მეზობლობა ჰქონიათ, როგორც დღეს ოსმალეთს არას ეპუებიან, ისე მა-შინ ასურეთის ძლიერებას არათ აგდებდენ, როდესაც არაბთ სპარსეთი სრულებით დაიმორჩილეს (651—652) და ისლამის გასავრცელებლათ საქართველოშიაც თბილისი დაიპყრეს, მა-შინაც ქურთებმა არც არაბეთის ქალიფებს მოუხარეს ქედი. პირ იქით ქურთები არაბისტანს მოსვენებას არ აძლევდენ—სადავლაოთაც კი ეკემოდენ არბევდენ.

— თუ უკაცრაოდ არ გახლდეთ,—თქვა ბუნების მეტ-ყველმა—მომიტევეთ... ხეთელთა და ურარტუს შესახებ მე ბევ-რი რამ წამიკითხავს. ევროპიელნი მეცნიერნი ძრიელ დაინ-ტერესებულნი არიან და თანაც...

— მომიტევეთ, თქვენ ის უნდა ბრძანოთ, რომ ევრო-პიელი მეცნიერნი იმ დასკვნას დაადგენ, რომ ხეთელნი ხმე-ლეთზე, ხოლო ფინიკიელნი ზღვაზე თანაბარ როლს ასრულებ-დენ კაცობრიობის კულტურის განვითარებაში... ეგვიპტეში ხეთელებს შეუტანიათ კულტურა და სხვ... მაგრამ ხეთელთა საკითხი ცალკე იყოს... განსაკუთრებით... ცოდვაა, რომ იგი-ნი სხვათა შორის მოვიხსენიოთ. ახლა მე კი ის-ღა დამრჩა სათქმელი, რომ საქართველო დიდათ დავალებულია ქურთე-ბისაგან.

— რა ნაირად?—მკითხა ბუნების მეტყველმა.

— აი რა ნაირად: როდესაც 1124 წელს ძლევა მო-სილმა საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა ახლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოჰხოცა 20,000 (ოცი ათასი) თურქი და სპარსი და დაიჭირა ქალაქი ანი, სადაც...

— ვა! ქართველ მეფეს ანში რა უნდოდა'? ჩვენს საატახტო ქალაქში...

— დამშვიდდით ბატონო ხაჩატურ, სომხეთის ტახტი და სამეფო მეთერთმეტე საუკუნეში მოისპო და მე კი მეთორმეტე საუკუნეს ამბავს მოგახსენებთ...

— მე საუკონოები არ ვიცი...

— მაშ მე როგორცა ვხედავ, ან უნდა მოვსპო ჩემი ლექცია, ან ადამ-ევადან დავიწყო...

— განაგრძეთ... განაგრძეთ...

— მაშ ნურას უკაცრაოდ თუ ცოტა შორიდან დავიწყებ... მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩემმა მსმენელებმა ვატყობ ნაკლებ იციან სომხეთის და საქართველოს ისტორია.

„მთელს აზიაში, ბატონებო, ორი პატარა საქრისტიანო სახელმწიფო არსებობდა—სომხეთი და საქართველო. ამ ორივე სახელმწიფოში ბოლო ხანს ურიის გვარეულობა, ბაგრატიონთა დინასტია მეფობდა*).

— ბაგრატიონები ურია როგორ იქნებოდენ, სომხები იყვენ, სომხის ხელმწიფეები—შემნიშნა პარონ ხაჩატურამ.

— ღმერთი გადღეგრძელებდეს პატონო,—ნუ დამცინით, ეს ერთი საწყალი ურია ვარ ამდენ ქრისტიანებში...

— არა, დანიელ, ფიქრადაც არ მომსვლია... გეფიცები ათ მცნებას, არას დაგცინი—შაბათას შვილები იყვენ—მაგრამ ბაგრატიონთა გენიალოგია შემდეგ იყოს...

„ორივე ქვეყანას, სომხეთსა და საქართველოს, სპარსეთი წინათაც დღეს უმწარებდა, ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ეს ორივე ერი ქრისტესთვის ტანჯულ-წამებულ იყო, მეტადრე სომხეთს მეხუთე საუკუნედანვე იმდენად გაჭოულიეს ძალა, რომ საქართველო მარტო-ღა იგერებდა ქრისტეს მტრებს—შეუსვენებლათ იბრძოდა რჯულისა და დამოუკიდებლობისთვის.

ბიზანტია დიდს მფარველობას და მოყვარობას უწევდა

*) საქართველოში 575 წლიდამ ვიდრე 1800—10 წლამდე, სომხეთში 889 წლიდან 1046 წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ერთ-მორწმუნე საქართველოს ერს ვიდრე თვითონაც არ გახდა ისლამის მსხვერპლი. საქართველოს ეკლესია და კულტურა, პოლიტიკა და მხედრობა ბიზანტიის სრულს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ გარემოებამ სპარსეთის თავგასულობა შესამჩნევათ ალაგმა—საქართველო ისე აღარ ეჩაგვრინებოდა მაჰმადიანებს, მაგრამ საშინლად არ სწყალობდა ბიზანტია სომხებს. მთავარი მიზეზი სხვათა შორის და მგონი რომ უმთავრესიც რელიგიური გამოურკვევლობა იყო, სომეხ გრიგორიანთა ეკკლესია ცოტა არ იყოს ჩამორჩა ქრისტეს რჯულის, თუ კანონებს არა, ზოგიერთა წეს-რიგს მაინც. მაგალითად 451 წელს სომხის ეკლესიის წარმომადგენელი არც-კი დაესწრო ხალკედონის მსოფლიო კრებას..

— მსოფლიო კრება სულ შვიდი იყო—დაუმატა ქუთაისელმა...

— დიაღ შვიდი*) იყო, მაგრამ სომხები მხოლოდ პირველ სამს კრებას დაესწრენ: ნიკეისას 325 წ., კონსტანტინეპოლისას 381 წ. და ეფესისას 431 წ. ამ გვარად სიმფოლო სარწმუნოებისა, მწამსი, ერთი და იგივე აქვთ ჩვენთან, ხოლო ეკლესიათა სხვა კითხვებში სომხებმა მონოფიზიტებს დაუჭირეს მხარი (ევტიხიოსი და დიოსკორი), რომელნიც უარს ჰყოფდენ ქრისტეს ორ ბუნებას.

— უკაცრაოდ... ჩვენ როგორ-ღა გვწამს?—ჰკითხა ბუნების მეტყველმა.

— საქართველოს ეკლესიას პირველ კრებაზედვე ჰყავდა თავის წარმომადგენელი და შვიდსავე დასწრებია. ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას სწამს ბერძნული ფორმულით: ერთი პირი და ორი განუყოფელი ბუნება ქრისტესი—ღვთაებრივი და კაცობრივი.

— მომიტევეთ... თქვენ რა წყაროებით სარგებლობთ ისტორია-ეტნოგრაფიისთვის?—კიდევ მომცა კითხვა ბუნების მეტყველმა.

— ვსარგებლობ ქართული და უცხო წყაროებით. უფრო კი დ. ბაქრაძის შენიშვნებით გამოცემულ ბატონიშვილის ვახუშტის „საქართველოს ისტორიიდან“ საიდანაც ბევრი ადგი-

*) კათოლიკე ეკლესიას ბარე ოცი კრებაც ჰქონდა.

ლი სიტყვა-სიტყვითაც მომყავს. ერთი კი ეჯნდა შევნიშნო, რომ ხრონოლოგიაში ეშმაკიც-კი კისერს მოიტეხს ისტორიკოსების ცნობას არ ეთანხმება ხშირად. ბევრს მასალას მაძლევს აგრეთვე ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი და სხვ...

„ერთის სიტყვით,— განვაგრძე მე—სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესია, განგებ თუ შემთხვევით, მართლ-მადიდებლობას ჩამოშორდა. მას მერე სომხები ბიზანტიამაც აითვალისწუნა, გადაემტერია. სომხეთი მოჰყვა ორ ცეცხლ შუა—სპარსეთმა და ბიზანტიამ ბურთივით გაიგდეს და გამოიგდეს, ერთმანეთს ეცილებოდენ და ბოლოს ხო გაიყვეს კიდეც 390—412 წ. ბიზანტია და სპარსეთი სომხეთის მმართველად სომხის ანუ თავის წარჩინებულთ არდგენდენ, ნიშნავდენ.

უკანასკნელად 1046 წ. გაგიკ II მეფობის დროს სომხეთის სატახტო ქალაქი ანი დაიპყრო ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა და მასთან ერთად სამარადისოთ დაამხო სომხეთის სამეფო და ბაგრატიონთა ტახტი. გაგიკ მეფემ ძლივს გადაარჩინა ტყვეობას თავი და გაძევებული 1079 წ. გარდაიცვალა. ამ გვარად მოისპო სომეხ ბაგრატიონთა ტახტიცა და გვარიც.

ხოლო 1061 წ. მოჭლვავდა აღმოსავლეთით დიდი ძალი თურქობა, სელჯუკები და სელჯუკთა სულთანმა ალპ-არსლანმა გაანადგურა დიდი სომხეთი და ააოხრა მათი დიდ მშვენიერი დედა ქალაქი ანი*).

**ილ. ალხაზიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

---

*) ანი 961 წლიდან ითვლებოდა ბაგრატიონიანა სატახტო ქალაქად. მდებიარობს ეხლანდელ ერევნის გუბერნიაში მდ. არპაჩაის კიდეზე. მეცხრამეტე საუკუნეში ანი მდიდრულად გამშვენიერებული იყო სხვა-სასახლეებით და დიდებულ ტაძრებით. ასი ათას (100,000) მცხოვრებს ათასი (1000) ეკლესია-მონასტერი ჰქონდათ.

სელჯუკების შემდეგ ქალ. ანს ბარე ათი პატრონი ეამოუცვლია, მარტოოდენ ქართველ მეფეებს 1124—1209 წლებში ხუთჯერ მოუსდათ ანის აღება. უკანასკნელად 1319 წ. საშინელმა მიწის ძრევამ სრულებით დამარხა მრავალ-ტანჯული ქალაქი თავისივე ნანგრევებში.



## შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ს. ქედბაქიანისაგან)

მინდოდა გამომეყვანა
ერთი პატარა შარადა,
მკითხველს თუ არ მოეწონოს
გულს ნუ ჩაირჩენს შავათა.
ბევრი წვალება არ უნდა
მიხვდება თავისთავათა.

ერთი ქართული სიტყვაა,
გთხოვთ ეხლავე მოიგონოთ.
ჩვენ საქართველოს შვილებსა
არ ვგონებ არ გაეგონოთ.
რადგანაც დასამოწმებლათ
ის სიტყვა უნდა იშოვნოთ.
მას ბოლო ასო წაართვით,
ვნახოთ როგორ მოიწონოთ,
მეორე—ნაცნობს შეხვდებით,
პირველათ ეტყვით იმასა,
შემდეგ სხვასაც დაუმატებთ,
მოჰყვებით ამას—იმასა.
მას ერთი ასო წაართვით
ბოლოდან განაპირასა
და რაც გადარჩეს აქედან
სულ მიუმატეთ წინასა.

ორს რომ ერთად შეაერთებთ
მიიღებთ იმ საგნის სახელს,
ამ ქვეყნის ჭირსა და ვარამს,
რომელიც თამამათ ამხელს.
რომელსაც ხშირად უწოდებთ
ბოროტებისა გამსახველს,
იმ ჩემს მკითხველსაც უნახავს,
სხვასაც ბევრს ნახავს მის მნა-
ხველს.

---

## სხვა-და-სხვა ამბები.

**აწერი კალმები.** ყველამ იცის რა მალე ფუჭდება ფოლადის საწერი კალმები. ისინი ჟანგდებიან და ცვდებიან. დიდი ხანია ეძებენ სხვა ლითონს კალმების გასაკეთებლათ, ოქრო არ ჟანგდება მელნისაგან, მაგრამ ძალიან ძვირად დაჯდება. ამას წინეთ ერთ ბერლინის ფაბრიკაში შინჯეს ერთ იშვიათ ლითონ ტანტალისაგან მისი გაკეთება და ძალიან კარგი გამოდგა. ტანტალი ფოლადივით უდრეკელია და ოქროსავით ჟანგს არ იკარებს. სცადეს შეედარებინათ ეს ლითონი ოქროსა და ფოლადის საწერ კალმებზე 9 ვერსის სიგძე ქაღალდზე და ამ ტანტალის საწერი კალამი ეამოდგა ყველაზე უკეთესი. ტანტალი რკინაზე მძიმეა და ტყვიაზე სუბუქი. მას იშვიათათ პოულობენ მადნებში: ფინლანდიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ურალის მთებში და ბავარიაში.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა


მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

# „სახალხო გაზეთი“

ყოველდღიური საზოგადოებრივ და სალიტერატურო გაზეთი

შემავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანათ:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის ნოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

---

## ПОДПИСКА НА 1912 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

# „Закавказье“

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Съ доставкой въ Тифлисѣ: | | Съ пересылкой въ другіе города: | |
|---|---|---|---|
| На годъ . . . | 6 р. — к. | На годъ . . . . | 8 р. — к. |
| На полгода . . | 3 р. 50 к. | На полгода . . . | 4 р. 50 к. |

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго домъ Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

*Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.*

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріани.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

## ოცდა მესამე წელიწადი.

**მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის**

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ბატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ. ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

**ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძეს.
**ბაქოში** - ქალ. მართა კვიტაშვილს.
**მიხაილოვში**—ვლად. ჩიქოვანს.
**გორში**—კნ. თამარა თარხნიშვილს.
**სამტრედიაში**—რაჟდენ ნანეიშვილს.
**თელავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.
**სიღნაღში**—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
**ჭიათურაში** ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას
**ბათუმში**—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი **ანნ. თუმანიშვილი წერეთლისა.**

---


**Открыта подписка на 1912 годъ**

**НА ГАЗЕТУ**

# „Закавказская Рѣчь“

**Подписная цѣна**

| Съ доставкой на домъ: | Въ Тифлисѣ. | Въ провинціи. |
|---|---|---|
| На годъ . . . . . | 6 руб. — коп. | 8 руб. — коп. |
| „ полгода . . . . . | 3 руб. 50 коп. | 4 руб. 50 коп. |
| „ 3 мѣсяца . . . . . | 2 руб. — коп. | 2 руб. 25 коп. |
| „ 1 мѣсяцъ . . . . . | — 75 коп. | — 75 коп. |

Отдѣльный номеръ 5 коп.

**АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева.**

**Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.**

Редакторъ **кн. Г. М. Палавандовъ.**

Издатель **Э. З. Горделадзе.**